სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ ლაფაჩი

ქართული სალიზინგო ბაზარი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი

2020

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ქართული სალიზინგო ბაზარი

მ.ლაფაჩი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **„ქართული სალიზინგო ბაზარი“** შეეხება ქართული სალიზინგო ბაზრის განვითარებას. **ჩვენი მიზანი** გახლდათ შეგვესწავლა ლიზინგის არსი, უპირატესობები, კლასიფიკაცი, სალიზინგო გარიგების რეგულირების იურიდიული ჩარჩოები და სუბიექტები, მსოფლიო სალიზინგო ბაზრის სტრუქტურები, ასოციაციები. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა** ჩვენება იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგი მრავალ მილიონიანი ინდუსტრიაა. განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80% იყენებს ამ ფინანსურ ინსტრუმენტს. ფიქსირებულ აქტივებში მთლიანი ინვესტიციების 1/3 ლიზინგის საშუალებით ხორციელდება. სალიზინგო ფირმების საქმიანობა და ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ყველაფერი დამოკიდებულია საიჯარო ვადაზე, ურთიერთობის ხასიათზე, მოწყობილობის სახეზე, ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და სხვაზე. ჩატარებული **კვლევის საგნია** ქართულ სივრცეში ჩამოყალიბებული სალიზინგო ურთიერთობები, **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **ძირითად შედეგად** ვამტკიცებთ მას, რომ ლიზინგი ამცირებს კრედიტზე მოთხოვნას, ე.ი. ხელს უწყობს კრედიტის გაიაფებას. ამიტომ არც თუ იშვიათად, სალიზინგო ფირმები აღმოცენდებიან როგორც ბანკის ფილიალები; ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ ლიზინგის ბაზარს ფორმირების საწყის ეტაპზე, რომელზეც ამჟამად საქართველო იმყოფება, აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, სახლემწიფოს ჩარევა სჭირდება, სხვაგვარად იგი ვერ განვითარდება, ასევე მეტი მუშაობაა საჭირო ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რათა ისინი გაერკვნენ ლიზინგის უპირატესობაში, მის ეკონომიკურ სარგებლობაში;

A n n o t a t i o n

Leasing market of Georgia

M.Lapachi

Our master's thesis "Georgian Leasing Market" deals with the development of the Georgian leasing market. Our goal was to study the essence of leasing, advantages, classification, legal framework and subjects of regulation of leasing transactions, the structure of the world leasing market, associations. Therefore, I consider the research topic relevant for us. The purpose of the study is to show that leasing is a multimillion-dollar industry in the modern world. 80% of companies in developed countries use this financial instrument. 1/3 of the total investment in fixed assets is carried out through leasing. The activities and activities of leasing companies are very diverse. It all depends on the lease term, the nature of the relationship, the type of device, the organizational structure of the company, and much more. The subject of the research is leasing relations that have developed in the Georgian space, the object of the research is information posted on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia and leasing companies operating in Georgia. The main result of our research is that leasing reduces the demand for credit, i.e. Helps to reduce credit. Therefore, leasing firms often turn into bank branches; The novelty of our research indicates that the leasing market at the initial stage of formation, in which Georgia is now located, needs active government support, government intervention, otherwise it cannot develop, and additional work is required with local entrepreneurs to find out the economic benefits of leasing ... ;

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი I. ლიზინგის როლი ბიზნესის განვითარებაში ---------- 6

1.1. ლიზინგის არსი, უპირატესობები, კლასიფიკაცია ---------- 6

1.2. სალიზინგო გარიგების რეგულირების იურიდიული ჩარჩოები და სუბიექტები ---------- 19

1.3. მსოფლიო სალიზინგო ბაზრის სტრუქტურა, ასოციაციები ---------- 25

თავი II. ქართული სალიზინგო ბაზარი ---------- 35

3.1. საქართველოში სალიზინგო ურთიერთობების განვითარების განვლილი გზა და დღევანდელი მდგომარეობა ---------- 35

3.2. ქართულ სალიზინგო ბაზარზე მოქმედი წარმატებული სალიზინგო კომპანიები ---------- 43

დასკვნა ---------- 55

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 56

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „ქართული სალიზინგო ბაზარი“ შეეხება სალიზინგო ურთიერთობების განვითარებას საერთაშორისო სირცეში და საქართველოში. თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგი მრავალ მილიონიანი ინდუსტრიაა. განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80% იყენებს ამ ფინანსურ ინსტრუმენტს. ფიქსირებულ აქტივებში მთლიანი ინვესტიციების 1/3 ლიზინგის საშუალებით ხორციელდება. სალიზინგო ფირმების საქმიანობა და ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ყველაფერი დამოკიდებულია საიჯარო ვადაზე, ურთიერთობის ხასიათზე, მოწყობილობის სახეზე, ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და სხვაზე.

ლიზინგი არსებითად სამი ერთდროულად განხორციელებული ოპერაციის (იჯარის, დაკრედიტებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების) ერთანი კომპლექსია, ეკონომიკური გააზრებით, ლიზინგი საკმაოდ რთული სავაჭრო-საფინანსო სისტემაა, რომლის დროსაც, სალიზინგო ფირმა (მეიჯარე), მოიჯარის (ფუნქციონერის) სურვილებისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით მწარმოებელი ფირმისგან ყიდულობს განსაზღვრულ ქონებას და გადასცემს მოიჯარეს გარკვეული ვადით და ქირის გადახდევინებით. სალიზინგო კომპანიები შესაბამისი ოპერაციებისთვის საკუთარ ნასესხებ სახსრებს იყენებენ. ლიზინგი საბანკო კრედიტის ალტერნატივაა. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს, ან ორგანიზაციას რაიმე სახის ქონების შეძენა სურს და ამისათვის საკმარისი თანხა არ გააჩნია, ბანკიდან გრძელვადიან სესხს იღებს. სესხი კი გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ, განსაზღვრული ვადით და აუცილებლად გირაოს, ან სხვა გარანტიის წარდგენით გაიცემა. ეს მაშინ, როდესაც ბანკის სესხისგან განსხვავებით,შ ემდგომი გადახდის პირობით ქონების შეძენის უფრო მოქნილი საშალება ლიზინგია. ლიზინგი ეს გრძელვადიანი იჯარაა, რომელიც მოიჯარის მიერ მათი შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. სალიზინგო ვადის განმავლობაში, მისი გამცემი ამ ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს, ლიზინგის მიმღები კი ვალდებულია, სალიზინგო გადასახდელი იხადოს. ფაქტობრივად, ლიზინგი სასაქონლო კრედიტია.

ლიზინგი არის რაიმე ქონების, ძირითადად ტექნიკის, იჯარით გაცემა. ამასთან, იჯარისაგან განსხვავებით, იგი დამატებითი ელემენტებითაა დატვირთული. ერთ-ერთი ასეთი არის ქონების ლიზინგით გამცემის ფიგურა. როგორც წესი, იგი არის სალიზინგო კომპანია, ანუ ლიზინგგამცემი, რომელიც კლიენტის ანუ ლიზინგმიმღების დაკვეთით თავისი სახსრებით და თავის საკუთრებაში ყიდულობს კლიენტისთვის საჭირო საშუალებებს - მანქანებს, მოწყობილობას და ა.შ, და ფასიან სარგებლობაში გადასცემს ამ უკანასკნელს გარკვეული ვადით, მისი საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ელეტრონული ბიბლიოთეკის მასალები, ასევე ELSEVIER-ის ბაზები: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), საგნობრივი 900-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, ონლაინ რესურსები, რომლებზეც მსოფლიო პანდემიის პირობებში უფასოდ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

ლიზინგის როლი ბიზნესის განვითარებაში

1.1. ლიზინგის არსი, უპირატესობები, კლასიფიკაცია

სამეცნიერო ლიტერატურაში ლიზინგთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ-სამართლებრივ ურთიერთობებს მიაკუთვნებენ ისტორიის ახალ ან უახლეს პერიოდს, მაგრამ ეს მოსაზრება დაზუსტებას საჭიროებს. ისტორიული დოკუმენტები მოწმობს, რომ იჯარა ადამიანისათვის არის ცნობილი უხსოვარი დროიდან. ლიზინგის იდეა ძველია, მაგრამ ტერმინი „ლიზინგი“ ასეთი ფორმით გვიან ჩამოყალიბდა. საიჯარო გარიგების არსის გახსნა მოდის არისტოტელეს ეპოქიდან. სწორედ მას მიეკუთვნება „რიტორიკიდან“ ხშირად ციტირებული შემდეგი ფრაზა: 1სიმდიდრე გამოყენებაშია და არა საკუთრების უფლებაში. ეკონომიკურ ურთიერთობათა მკვლევარების აზრით საიჯარო გარიგებები ცნობილი იყო ჩვე, წ,აღ.მდე IV საუკუნემდეც. პ.ბალტუსი და ბ.მაიჯერი წიგნში „ევროპული ლიზინგის სკოლა“ გვამცნობს, რომ ასეთი ურთიერთობები ყალიბდებოდა ჯერ კიდევ ძველ შუმერებში და თარიღდება ჩვ. წ. აღ.მდე. 2 000 წლით. შუმერთა ქალაქ ურში აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე ვკითხულობთ ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მიწის, წყლის სათავეების, ხარების და სხვა ცხოველების იჯარის შესახებ. ეს თიხის ფირფიტები, რომელთა გარკვეული ნაწილი 1984 წელს აღმოაჩინეს, მოგვითხრობს საეკლესიო პირებზე, მოიჯარეებზე, რომელებიც მოლაპარაკებებს აწარმოებენ ადგილობრივ ფერმერებთან.

ინგლისელმა ისტორიკოსმა კლარკმა ჰამურაბის მიერ მიღებულ კანონებში აღმოაჩინა რამოდენიმე დებულება იჯარის შესახებ. მათში დაწვრილებითაა განხილული იჯარის ვარიანტები, საიჯარო ქირის ნორმები და ქონების გირავნობის პირობები. სხვა ძველი ცივილიზაციები, მათ შორის ეგვიპტური, ბერძნული, რომალური, იჯარას ძალზე მიმზიდველ და ხელსაყრელ ხერხად მიიჩნევდნენ მოწყობილობების, მიწების, შინაური ცხიველების და ჯოგების მოსაპოვებლად.

ძველმა ფინიკიელებმა, რომლებიც სახელგანთქმული მეზღვაურები და ვაჭრები იყვნენ, კარგად გამოიყენეს გემების იჯარა. ეს ურთიერთობები თავისი ეკონომიკურ

სამართლებრივი არსით ძალზე წააგავს მოწყობილობათა თანამედროვე ლიზინგის კლასიკურ ფორმას. იჯარის შესახებ მოკლევადიან მოლაპარაკებათა დიდი ნაწილი უზრუნველყოფდა გემებისა და ეკიპაჟების მოპოვებასაც კი. ხაგრძლივი შეთანხმებების ხელმოწერა ხდებოდა იმ ვადით, რომელიც მოიცავდა გემების ეკონომიკური ანგარიშიანობის სასიცოცხლო პერიოდს.

იმპერატორმა იუსტინიანე I-მა, რომის სამართლის კოდიფიკაციის ავტორმა სალიზინგო ურთიერთობები ასახა ცნობილ წესდებებში. იურისტები სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ რომის სამართლისათვის კარგად იყო ცნობილი იმ ქონებრივი ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც ასახავდა საკუთრების უფლების გარეშე საგნის (ნივთის) ფლობას.

XI საუკუნის ვენეციაში, სალიზინგო ოპერაციების მსგავსი გარიგებები არსებობდა. ვენეციელები ვაჭრებს და სავაჭრო გემების მფლობელებს იჯარით აძლევდნენ იმ დროისათვის ძალზედ ძვირადღირებულ ნივთს ღუზას. ზღვით მოგზაურობის შემდეგ თუჯის ეს ფასეულობები უბრუნდებოდა მეპატრონეს, რომელიც ხელახლა წარადგენდა მას იჯარაზე.

შუა საუკუნეებში იჯარით გაიცემოდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობები და ცხენები. ზოგჯერ ხდებოდა ისეთი შემთხვევები, როდეცას იჯარით განსაკუთრებულ საგნებს სთავაზობდნენ. 1248 წელს რეგისტრირებულია სალიზინგო გარიგება, რომლის თანახმადაც ერთ-ერთმა რაინდმა იჯარით აიღო საჭურველი რათა მონაწილეობა მიეღო მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. შემდეგ იგი იხდიდა საიჯარო ქირას, რომელმაც საბოლოო ჯამში მკვეთრად გადააჭარბა მუნდირის საწყოს ღირებულებას. იმავე პერიოდში თანამედროვე ლიზინგთან მაქსიმალურად მიახლოებული ოპერაციები ხორციელდებოდა ინგლისში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ასწლეულების მანძილზე უძრავი ქონების იჯარა ინგლისის მიწის კანონმდებლობით შეუძლებლად ითვლებოდა. ამიტომ იჯარის ობიექტები ფერმერული მოწყობილობები და ცხენები იყო. დიდ ბრიტანეთში საიჯარო ურთიერთობების მარეგულირებელი ერთ-ერთი პირველი ნორმატიული აქტი „უელსის კანონი“ მიიღეს 1248 წელს.

„XIX საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში მრეწველობის განვითარებასთან და მოწყობილობათა სხვადასხვა ტიპის წარმოების გაფართოებასთან კავშირში გაიზარდა იმ პროდუქციის რაოდენობა, რომელსაც იძლეოდნენ იჯარით. ამ პროცესებში განსაკუთრებული როლი შეასრულა სარკინიგზო ტრანსპორტის და ქვანახშირის მრეწველობის განვითარებამ. ქვანახშირის მაღაროების მფლობელები საწყის ეტაპზეყიდულობდნენ ვაგონებს ქვანახშირის გადასატანად, მაგრამ მალე ნათელი გახდა ამ პროცესების წამგებიანობა. ფართოვდებოდა ნახშირის მოპოვება, იხსნებოდა ახალი მაღაროები, იზრდებოდა მოთხოვნა ვაგონებზე. მცირე საწარმოებმა ისარგებლეს ამ სიტუაციით და მომგებიანად დააბანდეს კაპიტალი. ისინი ყიდულობდნენ ნახშირის გადამზიდ ვაგონებს და აძლევდნენ მათ იჯარით სარკინიგზო კომპანიებს. წარმოიშვა ისეთი კომპანიები, რომელთა ერთადერთი მიზანი ლოკომოტივების და სარკინიგზო ვაგონების იჯარა იყო.“[1]

ავსტრიელი მკვლევარი ბ.ჰოიერი თავის წიგნში „როგორ გავაკეთოთ ბიზნესი ევროპაში„ აღნიშნავს, რომ პირველად ტერმინი „ლიზინგი“ გამოიყენეს 1877 წელს როდესაც სატელეფონო კომპანია BELL-მა მიიღო გადაწყვეტილება, კი არ გაეყიდა ტავისი სატელეფონო აპარატები, არამედ გადაეცა იჯარით (დაეყენებინათ აპარატები ბინებში ან ოფისებში კლიენტებისათვის მხოლოდ საიჯარო ქირის გადახდის საფასურად). ამ ოპერაციამ დიდი გამოხმაურება პოვა. იმ დროისათვის სპეციფიკური მომსახურებიდან მიღებული მოგებით დაინტერესდნენ ახლი ტექნიკის მწარმოებლები.

„მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უზრუნველყო საიჯარო ბიზნესის მკვეთრი წინსვლა. სწრაფად გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სალიზინგო ბიზნესის მასშტაბები. 1940 წლის 2 სექტემბერს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის გაფორმდა სალიზინგო ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის ბაზებზე ამერიკული ტექნიკის შემოყვანის თაობაზე. სალიზინგო პერიოდი განისაზღვრა 99 წლით. ეს იმ პერიოდისათვის იყო ქონების ლიზინგის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი გარიგება. სამომალოდ ეს გარიგება იქცა პრეცედენტად შემდგომი კანონპროექტისათვის. Lend

[1] ლიზინგი გრძელვადიან კაპიტალდაბანდებათა ეკონომიის გზა ხის დამამუშავებელ მრეწველობაში.. ხუსკივაძე მადონა. ჟურნალი-გონი. ქუთაისი. #6. გვ. 25-30. 2018.

leaze to the USSR. 1941-1945 წლებში ამ პროგრამით განხორციელდა ამერიკული ტექნიკის მოწოდება. საბოლოოდ მოწოდებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 49,1 მილიარდი აშშ $. “[2]

XX საუკუნის დასაწყისში დაიბადა ავტომობილების ლიზინგის იდეა. თავდაპირველად ასეთი ტიპის მომსახურება სხვა სახელით იწოდებოდა სწორედ საავტომობილო ლიზინგის ერთ-ერთ პირველი მაგალითი განხორციელდა 1918 წელს, როდესაც ზოლი ფრენკმა, სავაჭრო აგენტმა ჩიკაგოდან პირველმა წარადგინა ხანგრძლივ იჯარაზე ავტომობილები. 1930-იან წლებში ჰენრი ფორდმა ეფექტურად გამოიყენა სალიზინგო ურთიერთობები, რათა გაეფართოებინა თავისი ავტომობილების გასაღება.

XX საუკუნის 50-იან წლებში იჯარით მასიურად გასცემდნენ ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, მანქანებს, მექანიზმებს, გემებს თვითმფინავებს და ა.შ. აშშ-ს მთავრობამ ღირსეულად შეაფასა არსებული სიტუაცია, ოპერატიულად შეიმუშავა და რეალიზება გაუკეთა სალიზინგო ხელშეკრულებათა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამას.

პირველი სააქციო საზოგადოება, რომლითვისაც სალიზინგო ოპერაციები საქმიანობის ძირითად სახეობად იქცა იყო 1952 წელს სან-ფრანცისკოში ჩამოყალიბებული ცნობილი ამერიკული კომპანია UNITED STATES LEASING CORPORATION რომელიც დააფუძნა ჰენრი შონფელდმა ერთი კონკრეტული სალიზინგო ოპერაციისათვის, მაგრამ მიხვდა, რომ სალიზინგო ბიზნესი შესაძლოა ძალზე მომგებიანი ყოფილიყო.

სალიზინგო ოპერაციებმა მალე გადაკვეთა აშშ-ს ფარგლები და ნელ-ნელა ჩამოყალიბება დაიწყო სალიზინგო ბიზნესისათვის ისეთმა მნიშვნელოვანმა გაგებამ, როგორიცაა საერთაშორისო ლიზინგი.

„ლიზინგი არსებითად სამი ერთდროულად განხორციელებული ოპერაციის (იჯარის, დაკრედიტებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების) ერთანი კომპლექსია, ეკონომიკური გააზრებით, ლიზინგი საკმაოდ რთული სავაჭრო-საფინანსო სისტემაა, რომლის დროსაც, სალიზინგო ფირმა (მეიჯარე), მოიჯარის (ფუნქციონერის)

[2] იჯარა-ლიზინგის კლასიფიკაცია და რეგისტრაცია. ნარიმან ტერაშვილი. გადასახადები და აღრიცხვა : მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი. თებერვალი. N4. გვ.9-11. თბილისი, 2014.

სურვილებისა და სპეციალიზაციის გათვალისწინებით მწარმოებელი ფირმისგან ყიდულობს განსაზღვრულ ქონებას და გადასცემს მოიჯარეს გარკვეული ვადით და ქირის გადახდევინებით. სალიზინგო კომპანიები შესაბამისი ოპერაციებისთვის საკუთარ ნასესხებ სახსრებს იყენებენ.“[3]

ლიზინგი გარკვეულწილად კრედიტს წააგავს, რომელიც მოწყობილობის შესაძენად გაიცემა. ამიტომ, მას შეიძლება ქონებრივი კრედიტიც ვუწოდოთ. სალიზინგო ოპერაციაში მონაწილეობს:

- ბანკი (ლიზინგის მიმცემი);
- ფუნქციონერი საწარმო (მოიჯარე), ლიზინგის მიმღები;
- მომწოდებელი საწარმო (ძირითადი კაპიტალის მწარმოებელი).

ლიზინგში მთავარი მოქმედი პირია სპეციალიზებული სალიზინგო ფირმა. ასეთი ფირმები, როგორც წესი, სავაჭრო ოპერაციებს არ ანიჭებენ უპირატესობას. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნებული მოწყობილობა იყიდება.
ლიზინგის ფორმებია:

- შიდა და
- საერთაშორისო;

ლიზინგის ტიპებია:

- მოკლევადიანი;
- საშუალოვადიანი;
- გრძელვადიანი.

სალიზინგო გადასახადის ანგარიშსწორების მეთოდებია:

- ფიქსირებული თანხით;
- ავანსით;

[3] ტექნიკის გაქირავება და ლიზინგი. გუდავაძე თეო. გაზეთი „რეზონანსი“. #59. 28 მარტი. გვ.8. 2019

- მინიმალური გადასახადის მეთოდით.

„დღესდღეისობით საზოგადოების ფართო ფენებისთვის ლიზინგზე მეტად საბანკო კრედიტის შესახებაა ცნობილი. არადა, მეწარმისთვის ლიზინგი ბევრად მოსახერხებელია, ვიდრე, საბანკო კრედიტი. მაინც რა უპირატესობით სარგებლობს ლიზინგი? ლიზინგის უპირატესობებია:

- ლიზინგის დროს თვითონ ლიზინგის ობიექტი ასრულებს გირაოს ფუნქციას. ანუ, თუკი საწარმოს არა აქვს საკმარისი საგირავნო ქონება და ბანკის კრედიტის გამოსატანად, მას შეუძლია ისარგებლოს ლიზინგით და გირაოს ფუნქციას თვითონ ეს საგანი შეასრულებს;
- თავად მეწარმეს არანაირი დრო არ ეხარჯება ტრანსპორტირებაზე, განბაჟებაზე, მოძიებასა და ა.შ. რაც მეწარმისთვის მნიშვნელოვნად ამცირებს დროისა და ფულად დანახარჯებს;
- ლიზინგის ამღებს არ სჭირდება გრძელვადიანი ისტორია, რასაც აუცილებლად ითხოვენ ბანკები.“[4]

როდესაც კომპანიას უკვე აქვს სესხი აღებული და სურს, რომ კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი საქმიანობა,მაგრამ მისი ლიკვიდობის კოეფიციენტი ბანკისათვის არ არის დამაკმაყოფილებელი,მაშინ, მას დამატებითი ძირითადი საშუალებების გამოტანა შეუძლია ლიზინგით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სწრაფად განვითარებადი ბიზნესისთვის, როდესაც სახსრები არასაკმარისია, არადა მოთხოვნა არსებობს და შესაბამისად, საწარმო გაფართოებას საჭიროებს.

რაც შეეხება საბანკო სესხის პროცენტს ლიზინგის პროცენტთან შედარების, შეიძლება დაბალი იყოს. გააჩნია რისკებს, რაც მას თან ახლავს. ლიზინგში რისკი უფრო ნაკლებია ვიდრე საბანო სესხში, მისი ბუნებიდან გამომდინარე-ვინაიდან, თვითონ ლიზინგის ობიექტი არის გირაოში. ამასთან, სალიზინგო კომპანიების უმეტესობა გამოირჩევა მოქნილობით, ისინი ადვილად ახდენენ ადაპტირებას კლიენტურის

[4] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

მოთხოვნებზე. მას ახასიათებს ასევე, მოქნილი დაფარვის გრაფიკი. გადასახადების ყოველთვიური სტრუქტურირება შესაძლებელია განხორციელდეს საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე (მაგ. სეზონურობის გათვალისწინებით).

„აღსანიშნავია ისიც, რომ სალიზინგო კომპანია უშუალოდაა დაკავშირებული მომწოდებლებთან, კლიენტებთან, ანუ, ბაზარზე ის უფრო ფეხმოკიდებულია, ვიდრე ბანკი. იმიტომ, რომ ეს ბანკის ძირითადი საქმიანობა არ არის. ზოგჯერ მეწარმენი ძალიან მარტივად უდგებიან ამ საკითხს. „თუკი საბანკო კრედიტის პროცენტი იგივეა, რაც ლიზინგის პროცენტი, მაშინ, რაში მაწყობს მე?“ სინამდვილეში ასე არ არის. იმ უპირატესობების გამო, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, სწორედაც რომ აწყობთ. თუნდაც იმიტომ, რომ რეალურად არანაირ დროით და ფულად დანაკარგებთან არ არის დაკავშირებული. ლიზინგის გამოტანა გაცილებით მარტივია პროცედურულად, ვიდრე საბანკო სესხის აღება. ასე რომ, „პროცენტი არის ერთი და იგივე“ საკმარის არგუმენტად ვერ გამოდგება.“[5]

„თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგი მრავალ მილიონიანი ინდუსტრიაა. განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80% იყენებს ამ ფინანსურ ინსტრუმენტს. ფიქსირებულ აქტივებში მთლიანი ინვესტიციების 1/3 ლიზინგის საშუალებით ხორციელდება. დღეს საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები („საქართველოს სალიზინგო კომპანია“, „სტანდარტლიზინგი“ , „თიბისი ლიზინგი“) აფინანსებენ ისეთ დარგებს, როგორიცაა: მშენებლობა, ჯანდაცვა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ვაჭრობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბეჭდვისა და პოლიგრაფიის სფეროები.“[6]

ისმება კითხვა: მაინც რა შემთხვევაში იბადება ლიზინგის აუცილებლობა? წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია. თქვენმა მანქანათმშენებელმა საწარმომ აითვისა ახალი დაზგა, რომელიც თავისი პარამეტრებით უტოლდება უცხოურს, თუმცა, ეს მისი საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციისთვის საკმარისი არ არის. საქმე იმაშია, რომ როგორც წესი, მსხვილი მომხმარებელი ფირმები უირატესობას ანიჭებენ უკვე

[5] ტექნიკის გაქირავება და ლიზინგი. გუდავაძე თეო. გაზეთი „რეზონანსი“. #59. 28 მარტი. გვ.8. 2019

[6] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

აღიარებულ მწარმოებლებს, მაშინაც კი, როცა მათი პროდუქციის ფასი მაღალია. შესაძლებელია თქვენმა პროდუქციამ საშუალო და მცირე ფირმები მიიზიდოს, მაგრამ, იმის გამო, რომ შესაძლებლობების შეზღუდულობის პირობებში ვერ ახერხებენ გაერკვნენ თქვენი დაზგის ღირსებებში, ისინიც უპირატესობას ანიჭებენ უფრო ცნობილი მწარმოებლების პროდუქციას. აი, ასეთ, ერთი შეხედვით, გამოუვალ სიტუაციაში მიმართავენ ლიზინგს. რამეთუ, მოწყობილობის სალიზინგო წესით გამოყენება უფრო მიმზიდველია, ვიდრე, მისი შეძენა .ამგვარად, ლიზინგი ნაკლებ ცნობილი საქონლის ბაზარზე გასვლის საუკეთესო საშუალებაა. ამის კარგი მაგალითია ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის ბევრი განვითარებული ქვეყანა. აქ სატვირთო მანქანაზე არ იყო დიდი მოთხოვნა, სახალხო მეურნეობის საქონლის საავტომობილო გადაზიდვებით დაუკმაყოფილებლობის პირობებში. ეს იმით აიხსნება, რომ მრავალრიცხოვან მძღოლებს, რომელთაც ჰქონდათ სურვილი შეეძინათ სატვირთო მანქანები და დაეწყოთ საქმე, არ გააჩნდათ საკმარისი სახსრები ყიდვისათვის და ყოველთვის ვერც ბანკის კრედიტის აღებას ახერხებდნენ. საქმე მკვდარი წერტილიდან მაშინ დაიძრა, როცა ბაზარზე სატვირთო მანქანების გამქირავებელი სალიზინგო ფირმა გამოჩნდა.

კონკრეტულად მაინც რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ლიზინგს?

- პირველი, ფირმა მომხმარებელი თავისუფლდება ყიდვის გამო ერთჯერადი დიდი თანხის გადახდისაგან.
- მეორე, იგივ ჩვეულებრივი საგარანტიო ვადის მაგიერ ღებულობს მოწყობილობის მუშაობის საიმედოობის გარანტიას მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში.
- მესამე, აფართოებს საგარეო ეკონომიკურ კონტაქტებს, რამეთუ, რიგი ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის წესებში უპირატესობა ენიჭება ლიზინგს და არა ყიდვას იმის გამო, რომ ფული, გადახდილი იჯარის სახით, აღირიცხება როგორც მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯები და ბალანსში არ ფიგურირებს მინუსის ნიშნით (შედის თვითღირებულებაში, რაც ამცირებს მოგებიდან გადასახადს). ეს მაშინ, როდესაც კრედიტი მოწყობილობის შეძენისთვის ითვლება დავალიანებად. საბუღალტრო ანგარიშების თვალსაზრისით ლიზინგის ხელშეკრულება წარმოადგენს დაუსრულებელ გარიგებას და ობიექტები არ

ირიცხება არცერთ პარტნიორის ბალანსზე. ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯები წარმოადგენენ მიმდინარე საიჯარო ხარჯებს და არ იყოფა პროცენტებად და საამორტიზაციო ანარიცხებად.

- მეოთხე, მომხმარებელმა ფირმამ სალიზინგო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება შეიძინონ მოწყობილობა და შემდგომში იგი თქვენს მუდმივ კლიენტად გადაიქცეს.

ამგვარად, სთავაზობთ რა საკუთარ პროდუქციას სალიზინგო წესით და არა გაყიდვით, თქვენ იძენთ დამატებით შანსს მომხმარებლის მიზიდვისათვის.

„ლიზინგისადმი ბანკების ინტერესი გამოწვეულია იმითაც, რომ ისინი თავიანთ ფულად საშუალებებს რისკის უფრო დაბალი ხარისხის პირობებში გამოჰყოფენ, ვიდრე, ფულადი სახსრების სესხად გაცემისას, რადგანაც სალიზინგო ობიექტი უზრუნველყოფის საშუალებად გვევლინება. მწარმოებლები კი სალიზინგო ფირმების განვითარებას ხელს უწყობენ თავიანთი საქონლის ბაზარზე გასვლის, კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების მიზნით. თუ ფუნქციონერი დაარღვევს ხელშეკრულებას, მას ჩამოერთმევა სალიზინგო ობიექტი და ეკონომიკური სანქციებიც დაეკისრება. ლიზინგი ამცირებს კრედიტზე მოთხოვნას, ე.ი. ხელს უწყობს კრედიტის გაიაფებას. არც თუ იშვიათად, სალიზინგო ფირმები აღმოცენდებიან როგორც ბანკის ფილიალები, მაგალითად, ავსტრიის მსხვილ სალიზინგო ფირმას IBLNZINT-ს აკონტროლებს ევროპაში ერთ-ერთი მსხვილი ლენტერ-ბანკი. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სალიზინგო ფირმა არსებობს, როგორც დამოუკიდებელი კომპანია, რომელიც მიმაგრებულია ერთ რომელიმე მწარმოებელთან და სარგებლობს მისგან გარკვეული შეღავათებით. ეს განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სატრანსპორტო საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის ლიზინგში.“[7]

სალიზინგო ფირმების საქმიანობა და ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ყველაფერი დამოკიდებულია საიჯარო ვადაზე, ურთიერთობის ხასიათზე, მოწყობილობის სახეზე, ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და სხვაზე. მაგალითად, დასავლეთში არის რიგი სალიზინგო ფირმები, რომლებიც

[7] ტექნიკის გაქირავება და ლიზინგი. გუდავაძე თეო. გაზეთი „რეზონანსი“. #59. 28 მარტი. გვ.8. 2019

დასპეციალებულნი არიან მოკლევადიან ლიზინგზე (**რენტინგზე**). ისინი იჯარით გასცემენ მოწყობილობას, ქონებას, ერთი საათიდან ერთი თვის ვადამდე. ასეთი ფირმები უპირატესად საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქონების გაქირავების, ან, ბიზნეს-სერვისის სფეროში მოქმედებენ. რენტინგის ძირითადი ობიექტებია: სატრანსპორტო საშუალებები, შენობები, მდივნები, თარჯიმნები,სპეციალისტები და ა.შ.

„ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით იჯარით გაიცემა ქონება სალიზინგო ფირმის მიერ, რომელიც საშუალოვადიან ლიზინგად (**ჰაირინგად**) იწოდება. საკუთრივ ლიზინგით დაკავებული არიან ფირმები, რომლებიც მოიჯარეს მოწყობილობას გადასცემენ ერთი წლის ვადის ზევით. ბევრ ქვეყანაში იჯარის ვადა ლიზინგისთვის კანონმდებლობით განისაზღვრება. მაგალითად, აშშ-ში არიზონის შტატში ლიზინგად ითვლება იჯარით გაცემული მოწყობილობა არა ნაკლებ სამი წლის ვადით.“[8]

ლიზინგი საერთაშორისოა, როცა კომპანიები სხვადასხვა ქვეყნებში იმყოფებიან. ყველაზე მეტად ლიზინგი განვითარებულია ნაოსნობისა და ავიაციის სფეროში.

- **საბანკო ლიზინგი**-არის ხელშეკრულება, რომელშიც სალიზინგო კომპანიის როლში გამოდის ბანკი. იგი ლიზინგის მიმღების შეკვეთით ყიდულობს დანადგარებს და აძლევს ამ უკანასკნელს იჯარით.
- **საექსპორტო ლიზინგი**-მას ახორციელებს სალიზინგო ფირმა, რომელიც მწარმოებლის ქვეყანაში იმყოფება, ხოლო, ლიზინგის ამღები - სხვა ქვეყანაში.
- **საიმპორტო ლიზინგი**- აქ იგულისხმება, რომ სალიზინგო ფირმა და ლიზინგის ამღები იმყოფება ერთ და იგივე ქვეყანაში, ხოლო, ფირმა-მწარმოებელი-სხვა ქვეყანაში. სალიზინგო კომპანია ყიდულობს დანადგარებს უცხოური კომპანიისგან და შემდეგ იჯარით აძლევს ეროვნულ საწარმოს.
- **სატრანზიტო ლიზინგი**-სალიზინგო ოპერაციის ყველა მონაწილე იმყოფება სხვადასხვა ქვეყანაში.

[8] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

- **უკუ (დაბრუნებადი) ლიზინგი** - პირდაპირი ლიზინგის ნაირსახეობაა. ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს უკვე გააჩნია დანადგარები, მაგრამ სახსრები არ ჰყოფნის მის ასამუშავებლად. მაშინ იგი პოულობს სალიზინგო კომპანიას იმ მიზნით, რომ მიჰყიდოს მას თავისი ქონება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ლიზინგით აძლევს დანადგარებს ამავე საწარმოს. ამის შემდეგ საწარმოს უჩნდება დამატებით ფულადი რესურსები. ამასთან, კონტრაქტით ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ საწარმოს აქვს უფლება გამოისყიდოს დანადგარები და აღადგინოს მათზე თავისი საკუთრების უფლება. მაშასადამე, **დაბრუნებადი ლიზინგის დროს** სალიზინგო ფირმა იძენს მოწყობილობას მესაკუთრისგან და მასვე გადასცემს იჯარით.
- **სუფთა ლიზინგი** - რომლის დროსაც ქონების მომსახურება აკისრია ლიზინგის მიმღებს. ამ დროს მოწყობილობის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ შედის სალიზინგო გადასახდელში. ასეთი ფორმა დამახასიათებელია ფინანსური ლიზინგისთვის და არის კლასიკური.
- **„სველი“ ლიზინგი** - ლიზინგი, რომელიც გულისხმობს აუცილებელ ტექნიკურ მომსახურებას, მის რემონტს, დაზღვევას და სხვა ოპერაციებს, რაც აკისრია ლიზინგის მიმცემს. ამ მომსახურების გარდა ლიზინგის მიმღების სურვილით ლიზინგის მიმცემი თავის თავზე იღებს კვალიფიციური პერსონალის მომზადების, მზა პროდუქციის მარკეტინგისა და რეკლამის ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ ოპერატიული ლიზინგი უპირატესად „სველ“ ხასიათს ატარებს.
- **კომპენსაციური ლიზინგი**-ლიზინგი, რომლის პირობებით საიჯარო გადასახადის სახით მოიჯარე სალიზინგო ფირმას აძლევს იჯარით აღებულ მოწყობილობაზე დამზადებულ პროდუქციას.
- **მომწოდებლის ლიზინგი**-სალიზინგო ფირმა მწარმოებლისგან იძენს პროდუქციას, შემდეგ მასვე გადასცემს იჯარით. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სუბიჯარით გადასცემს პროდუქციას ლიზინგის ამღებს.
- **რთული ლიზინგი**-ამ ოპერაციაში მონაწილეობს ორი, ან რამდენიმე სალიზინგო ფირმა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში არიან განლაგებულნი.

- და ბოლოს: „**ფინანსური ლიზინგი** ხასიათდება იმით, რომ ქონების ლიზინგში გადაცემის ვადა უახლოვდება თავისი ხანგრძლივობით მისი ექსპლოატაციისა და მთლიანი ღირებულების ამორტიზაციის ვადას. რადგანაც ლიზინგის მიმცემს საქმე აქვს მხოლოდ ერთი ლიზინგის მიმღებთან, ხარჯები ლიზინგის ორგანიზაციაზე, აგრეთვე იმის რისკი, რომ ლიზინგის პერიოდში მოთხოვნილება მოცემულ საწარმოზე დაეცემა, მინიმალურია. ეს რისკი მთლიანად გადადის ლიზინგის მიმღების მხრებზე. სალიზინგო გადასახადები ფინანსური ლიზინგის დროს ნაკლებია, ვიდრე ოპერატიული ლიზინგის დროს. ფინანსურ ლიზინგს დღესდღეობით სალიზინგო კომპანიების პორტფელების მნიშვნელობანი ნაწილი უკავია. განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნული სახის ლიზინგი იმ ქვეყნებში, სადაც ლიზინგის ინდუსტრია განვითარების საწყის ეტაპზეა. ასეთ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, მაღალი რისკების გამო სალიზინგო კომპანიები კლიენტურას სთავაზობენ ძირითად საშუალებათა ლიზინგს, პრაქტიკულად სრულად გამოსყიდვის ვალდებულებით. ეს კი სწორედ ფინანსური ლიზინგის პარამეტრებში ჯდება.“[9]
- **ოპერატიული ლიზინგი**-ლიზინგის ფორმა, რომლის ვადა უფრო მცირეა, ვიდრე იჯარით აღებული ქონების საამორტიზაციო ვადა. ლიზინგის დასრულებისას ობიექტი უბრუნდება მფლობელს. ლიზინგის მიმცემი იძულებულია რამდენიმეჯერ გასცეს იჯარით აღნიშნული ქონება და ამიტომ აწევს იმის გარკვეული რისკი, რომ ვერ დაფარავს ლიზინგის ობიექტის ღირებულებას, ანუ, ვერ ამოიღებს მასში ჩადებულ თანხას იმ შემთხვევაში, თუ მოწყობილობაზე მოთხოვნილება დაეცემა. ამის გამო სალიზინგო გადასახადები ოპერატიული ლიზინგის დროს საგრძნობლად მეტია, ვიდრე ფინანსური ლიზინგის დროს.

სალიზინგო ოპერაციების თანმიმდევრობა ასეთა: სავაჭრო ხელშეკრულების დადება, სალიზინგო ხელშეკრულების დადება, მოწყობილობის შეძენა ლიზინგის გამცემის მიერ, სალიზინგო ობიექტის მიწოდება, ლიზინგის საფასურის გადახდა.

---

[9] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

„როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, მოქმედების იმპულსი ფუნქციონერიდან, ლიზინგის მიმღებიდან მოდის. იგი არჩევს მომწოდებელს, დებს სავაჭრო ხელშეკრულებას არკვევს ობიექტის ტექნიკურ პირობებს, ფასს, მიწოდების ვადებს. შემდეგ ბანკი და ლიზინგის მიმღები განიხილავენ რა გარიგების წინასწარ პირობებს, დებენ სალიზინგო ხელშეკრულებას. მასში გათვალისწინებულია: ლიზინგის ობიექტი, საიჯარო ვადა, რომლის განმავლობაში ხელშეკრულების გაუქმება მიუღებელია, საიჯარო ქირა და მისი გადახდის პერიოდულობა, საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ ქონების ფლობის შესაძლებელი ვარიანტები, ქონების დაზღვევის პირობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები.“[10]

სალიზინგო კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი ვარიანტები:

- მოიჯარის მიერ ქონების გამოსყიდვა ნარჩენი ფასით,რაც იძლევა ძვირად ღირებული თანამედროვე დანადგარების მიღებას დიდი ერთჯერადი დანახარჯის გარეშე;
- ლიზინგის ვადის გაგრძელება;
- ქონება უბრუნდება სალიზინგო კომპანიას (ბანკს) როგორც ვხედავთ, ლიზინგი იჯარისგან განსხვავებით ასახავს არა ორ, არამედ სამ სუბიექტს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ამგვარად, ლიზინგი საბანკო კრედიტის ალტერნატივაა. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს, ან ორგანიზაციას რაიმე სახის ქონების შეძენა სურს და ამისათვის საკმარისი თანხა არ გააჩნია, ბანკიდან გრძელვადიან სესხს იღებს. სესხი კი გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ, განსაზღვრული ვადით და აუცილებლად გირაოს, ან სხვა გარანტიის წარდგენით გაიცემა. ეს მაშინ, როდესაც ბანკის სესხისგან განსხვავებით,შ ემდგომი გადახდის პირობით ქონების შეძენის უფრო მოქნილი საშალება ლიზინგია. ლიზინგი ეს გრძელვადიანი იჯარაა, რომელიც მოიჯარის მიერ მათი შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. სალიზინგო ვადის განმავლობაში, მისი გამცემი ამ

[10] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

ქონებაზე საკუთრების უფლებას ინარჩუნებს, ლიზინგის მიმღები კი ვალდებულია, სალიზინგო გადასახდელი იხადოს. ფაქტობრივად, ლიზინგი სასაქონლო კრედიტია.

1.2. სალიზინგო გარიგების რეგულირების იურიდიული ჩარჩოები და სუბიექტები

ლიზინგი არის რაიმე ქონების, ძირითადად ტექნიკის, იჯარით გაცემა. ამასთან, იჯარისაგან განსხვავებით, იგი დამატებითი ელემენტებითაა დატვირთული. ერთ-ერთი ასეთი არის ქონების ლიზინგით გამცემის ფიგურა. როგორც წესი, იგი არის სალიზინგო კომპანია, ანუ ლიზინგგამცემი, რომელიც კლიენტის ანუ ლიზინგმიმღების დაკვეთით თავისი სახსრებით და თავის საკუთრებაში ყიდულობს კლიენტისთვის საჭირო საშუალებებს - მანქანებს, მოწყობილობას და ა.შ, და ფასიან სარგებლობაში გადასცემს ამ უკანასკნელს გარკვეული ვადით, მისი საბოლოო გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით. „კლასიკური ლიზინგი ითვალისწინებს მასში სამი მხარის მონაწილეობას:

- **ქონების მწარმოებელი** (მომწოდებელი), რომელიც ქონების გამყიდველის როლშია და წარმოადგენს იურიდიულ პირს.
- **ლიზნგგამცემი**, ანუ ქონების მესაკუთრე, რომელიც იძლევა ამ ქონებას სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე. ისინი შეიძლება იყვნენ ბანკები, სალიზინგო კომპანიები ან საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ სალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო სახსრები.
- **ლიზინგმიმღები**, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს იურიდიული პირი.

საიჯარიო ვადა არ არის ლიზინგის განმსაზღვრელი პარამეტრი.ადვილი შესაძლებელია, რომ 4 წლის ვადით იჯარით გაცემული დანადგარი, 4 წლიანი სასარგებლო გამოყენების ვადით, სრულად პასუხობდეს ლიზინგისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ახალაშენებული კაპიტალური შენობის 10-წლიანი იჯარა კი არა.

ლიზინგი სახსრების დაბანდების ერთ-ერთი ფორმაა უკან დაბრუნების პირობით, ესაა განსაზღვრული პერიოდით სახსრების წარდგენა, რომელსაც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგგამცემი უკან იბრუნებს, აქვე დახმარების გაწევისათვის იღებს საკომისიოს. ლიზინგი თავისი შინაარსით შეესაბამება საკრედიტო ურთიერთობებს, ხოლო რადგან მსესხებელი და სესხის გამცემი ერთმანეთთან ურთიერთობისას კაპიტალს არა ფულადი, არამედ სასაქონლო ფორმით იყენებს, ამიტომ მას საერთო აქვს ინვესტირებასთან.

ლიზინგი ერთგვარი სასაქონლო კრედიტია რომელიც ტრადიციული საბანკო სესხისაგან იმით განსხვავდება, რომ ლიზინგგამცემის მიერ ლიზინგმიმღებს წარედგინება გამოსაყენებელი ქონების გადაცემის ფორმით. როდესაც ლიზინგგამცემი შეიძენს საკუთრებაში ქონებას მისი მწარმოებლისაგან სრული ღირებულებით, ლიზინგმიმღებს დახმარებას აღმოუჩენს საფინანსო მომსახურებით, ხოლო ლიზინგმიმღები აანაზღაურებს ამ ღირებულებას კრედიტისათვის დამახასიათებელი პერიოდული პროცენტული გადახდებით. ლიზინგის თავისებურებები ვლინდება ქონების გამოყენების უფლებაში. სალიზინგო პერიოდის განმავლობაში ლიზინგგამცემი ინარჩუნებს მესაკუთრის იმ უფლებას, რომელიც სახელშეკრულებო ვადის დასრულებისას და სათანადო გადახდების სრული ანაზღაურების შემდეგ გადადის ლიზინგმიმღებზე. სწორედ ესაა აღნიშნული ურთიერთობის ერთ-ერთი მიმზიდველი ფაქტორი. სალიზინგო ქონების გამოყენებაზე ფასის გადახდა ხორციელდება ლიზინგმიმღებისაგან სალიზინგო გადახდებს სახით. გადახდების სიდიდე, მეთოდები, ფორმები და პერიოდულობა ყალიბდება მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სალიზინგო გადახდების საერთო თანხა თავის თავში მოიცავს:

- სალიზინგო ქონების ღირებულების ასანაზღაურებელ თანხას;
- ლიზინგგამცემის საკომისიო საზღაურს;
- ქონების დაზღვევის სასყიდელს, თუ იგი დაზღვეულია ლიზინგგამცემის მიერ;
- ლიზინგგამცემისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამატებით მომსახურებაზე საჭირო გასამრჯელოს;
- სალიზინგო ქონებაზე საგადასახადო თანხას;
- სალიზინგო ქონებაში გათვალისწინებულ სხვა ხარჯებს;

სალიზინგო ურთიერთობებში საგულისხმო ადგილი უჭირავს რისკის ფატორს, რომელიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ საორგანიზაციო, უფლებრივი და ეკონომიკური უზრუნველყოფით. საორგანიზაციო და ეკონომიკური უზრუნველყოფა ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტებში გარანტიის ხარისხში დიდი ოდენობის დამფუძნებელი კაპიტალის მქონე მოქმედი სამეურნეო სტრუქტურების გამოყენებას. პარტნიორთა ურთიერთდამოკიდებულებას საერთაშორისო ლიზინგში არეგულირებს 1998 წელს მიღებული ოტავის კონვენცია, რომელიც ითვალისწინებს ლიზინგით გაცემულ დაზღვეულ ქონებას. ლიზინგით დიდი მოცულობის ქონების წარდგენის შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაციები მიმართავენ გადაზღვევის ან თანადაზღვევის სხვადასხვა ფორმებს. საექსპერტო შეფასებები გვიჩვენებს, რომ სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებისას მონაწილე მხარეთათვის რისკის კოეფიციენტი დაახლოებით 30%-ია.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, ფინანსური იჯარა გულისხმობს აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. საკუთრების უფლება შეიძლება გადაცემული იქნას, ან არა.

„საქართველოში ლიზინგთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონით „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ლიზინგი რეგულირდება „საერთაშორისო ფინანსური იჯარის შესახებ ოტავის კონვენციით“. იჯარის ლიზინგად, ფინანსურ იჯარად აღიარების კრიტერიუმები რეგულირდება ნაციონალური კანონმდებლობით და პრაქტიკულად ცოტათი თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.“[11] საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ქონების იჯარა წარმოადგენს ლიზინგს (ფინანსურ იჯარას) თუ;

- იჯარის ვადის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია ქონებაზე საკუთრების უფლების გაცემა, ან იჯარის მიმღებს უფლება აქვს შეიძინოს ქონება ფიქსირებული ან იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასით;

[11] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

- იჯარის ვადა აღემატება ძირითადი საშუალებების ეკონომიკური სამსახურის 75%-ს;
- იჯარით აღებული ქონების მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება, იჯარის ვადის სასრულებისას, ამ ვადის დასაწყისში ქონების საბაზრო ღირებულების 20%-ზე ნაკლებია;
- იჯარით აღებული ქონების მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულება იჯარის ვადის დასრულებისას არ აღემატება ამ ვადის დასაწყისში ქონების საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-11 ნაწილით განსაზღვრული საბალანსო ღირებულების 15%-ს.

„ლიზინგი წარმოადგენს ქონებრივი ურთიერთობების ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთგანპირობებულ კომპლექსს, რომელიც ყალიბდება ლიზინგის ოპერაციის მონაწილეთა შორის ქონების მოძრაობასთან და ანგარიშსწორებებთან დაკავშირებით. ამდენად ლიზინგი, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი კატეგორია, წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკურ სახეს, რომელიც საშალებას აძლევს მეწარმეს შემოსავალი მიიღოს ქონებიდან, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას.“[12]

კლასიკური სალიზინგო ოპერაციის სქემა ასეთია:

- პოტენციალური ლიზინგის ამღები, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული ქონების მიღებაში, მის ხელთ არსებული ინფორმაციის, რეკომენდაციებისა და წინასწარ მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე ირჩევს მისთვის საინტერესო აქტივის მომწოდებელს;
- ირჩევს სალიზინგო კომპანიას და დებს მასთან სალიზინგო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ლიზინგის გამცემი საკუთარი სახსრებით იძენს ლიზინგის ამღების მიერ შერჩეულ ქონებას და გადასცემს ლიზინგის ამღებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

სალიზინგო გარიგების, ანუ, ლიზინგის სუბიექტები არიან:

[12] ტექნიკის გაქირავება და ლიზინგი. გუდავაძე თეო. გაზეთი „რეზონანსი“. #59. 28 მარტი. გვ.8. 2019

- **სალიზინგო ფირმები და კომპანიები** (ლიზინგის გამცემი) იურიდიული პირი (მეწარმე ფიზიკური პირი), რომელიც ახორციელებს სალიზინგო საქმიანობას, ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის ამღებს ლიზინგით გადასცემს, მის მიერ შერჩეულ ლიზინგის საგანს;
- **საწარმო-ლიზინგის ამღები.** ლიზინგის ამღები არის იურიდიული, ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც მისთვის საჭირო ქონებას იღებს ლიზინგით:
- **ლიზინგის ობიექტის მიმწოდებელი**-საწარმო დამამზადებელი, ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც ახდენს ლიზინგის ობიექტის მიწოდებას ლიზინგის გამცემისთვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ლიზინგის ისეთი აღიარებული უპირატესობები, რომლებიც გამომდინარეობენ ლიზინგის, როგორც ფინანსური იჯარის თავისებურებებიდან,როგორებიცაა:

- ამცირებს მოთხოვნას საკუთარ სასტარტო კაპიტალზე;
- ფინანსირების ხელმისაწვდომი წყარო, როგორც წესი ლიზინგის საგანი ხდება ლიზინგის ამღების ვალდებულებების შესრულების გარანტია;
- ფინანსური დაგეგმვის მოქნილი ინსტრუმენტი (სალიზინგო კომპანიასთან თანხმდება გადახდის გრაფიკი);
- ლიზინგის ხელშეკრულების ვადა, როგორც წესი, მეტია კრედიტის ვადებზე, რაც ამცირებს პერიოდული სალიზინგო გადასახდებელის მოცულობას;
- საწარმო უნარჩუნებს და პრაქტიკულად უზრდის საკრედიტო პოტენციალს, რადგან, ლიზინგის საგანი აისახება ლიზინგის ამღების ბალანსზე და ზრდის მის აქტივებს;
- რიგირ ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სალიზინგო გადასახდელების სრული მოცულობით მიკუთვნებას მიმდინარე საოპერაციო ხარჯებზე, რაც ამცირებს მოგების გადასახადით დასაბეგრ ბაზას და აუმჯობესებს ბალანსის სტრუქტურას.

ლიზინგი ძალზე წააგავს ძირითადი საშუალებების შეძენას კრედიტით, თუმცა, განსხვავება ამ ორ ოპერაციას შორის ერთობ არსებითია. მათ შორის აღსანიშნავია:

- კრედიტით შეძენილი ძირითადი საშუალებები ხდება კრედიტის ამღების საკუთრება, ლიზინგით აღებული ქონება რჩება ლიზინგის გამცემის საკუთრებაში;
- ლიზინგის ამღები, ლიზინგით ძირითად საშალებას იღებს გარკვეული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ მას უფლება აქვს ქონება დაუბრუნოს ლიზინგის გამცემს;
- კრედიტით აღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კრედიტის ამღებს (მყიდველს). ლიზინგის ხელშეკრულება, შესაძლოა ითვალისწინებდეს ლიზინგის ობიექტის მთლიანად, ან ნაწილობრივ მომსახურებას, ლიზინგის გამცემის მიერ.

„ლიზინგის დროს, ლიზინგის ობიექტზე საკუთრებას ინარჩუნებს ლიზინგის გამცემი. ლიზინგის მიმღები ლიზინგის ობიექტს იღებს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში, რისთვისაც ლიზინგის გამცემს უხდის სათანადო საზღაურს. ასეთი საზღაურის სიდიდე, გადახდის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება ორმხრივი ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის ამღებს შორის.“[13]

ლიზინგი საუკეთესო საშუალებაა საკუთარი ბიზნესის წარმოებისთვის, როდესაც მეწარმეს არა აქვს საკუთარი სახსრები ძვირადღირებული ძირითადი საშუალებების შესაძენად და არამარტო ასეთ შემთხვევებში. მაშნაც კი, როდესაც საწარმოს აქვს საჭირო სახსრები ლიზინგის ობიექტის შესაძენად, შესაძლოა მან ეს არ გააკეთს სულ ცოტა სამი მიზეზით:

- არ სურს აიღოს კრედიტი და ერთდროულად გადაიხადოს ძირითადი საშუალების ღირებულება;
- არ სურს გახდეს ლიზინგის ობიექტის მესაკუთრე და აიღოს საკუთრებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;
- სურს გამოიყენოს ლიზინგთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათები;

[13] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

1.3. მსოფლიო სალიზინგო ბაზრის სტრუქტურა, ასოციაციები

„თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის და მსოფლიო ბიზნესის განვითარების პირობებში ლიზინგი იღებს საინვესტიციო პროცესების ხელშემწყობი ერთ-ერთ დინამიურად მზარდი მიმართულების სახეს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მასშტაბური რეალური ინვესტიციის რეალიზაცია, სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები და საწარმოების საკუთარი საშუალებების გამოყენება ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია. ამიტომ სალიზინგო მომსახურებთა მსოფლიო ბაზრის, როგორც სამეწარმეო აქტივებში ფინანსირების მნიშვნელოვანი მექანიზმის კვლევა ძალზე ატქუალურია.“[14]

ლიზინგმა თანამედროვე გაგებით ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო 1950-იან წლებში აშშ-ში. ამას ხელი შეუწყო ამერიკის მთავრობის მნიშვნელოვანმა მხარდაჭერამ, რადგან ეს ურთიერთობა მიჩნეულ იქნა საინვესტიციო პროცესების სტიმულირების მექანიზმად. ათი წლის შემდეგ საიჯარო ურთიერთობებში მოხდა ნამდვილი რევოლუცია, ლიზინგი განვითარდა დედამიწის ევროპულ ნაწილში, პირველად საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში შვეიცარიაში, ავსტრიაში, ხოლო ინვესტიციების მოცულობა მოწყობილობებში ლიზინგის სახით გაიზარდა 5-ჯერ. იჯარით მასიურად გაიცემოდა წარმოების და ტექნოლოგიური საშუალებები, ავტომობილები, გემები, თვითმფინავები და ა.შ. 1970 წლიდან სალიზინგო ურთიერთობების გამოყენა იაპონიაშიც დაიწყეს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო სალიზინგო მომსახურებათა მსოფლიო ბაზარზე ოპერირებენ მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები, მაგრამ სალიზინგო აქტივობების აკუმულირებ ხდება აშშ-ში, დასავლეთ ევროპისა და აზიის რამოდენიმე ქვეყანაში. მათზე მოდის მსოფლიო სალიზინგო გარიგებათა 90%, მათ შორის 4 ლიდერია: აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და გერმანია. სალიზინგო ოპერაციების დარგობრივი სტრუქტურა ვარირებს კონკრეტული რეგიონიდან გამომდინარე.

---

[14] საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართული სალიზინგო ბაზრის შედარებითი ანალიზი. პიტიურაშვილი დავით. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3 გვ. 106-109. 2016.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ლიზინგი ფართოდ გამოიყენება და სამეწარმეო საქმიანობის მეტად მიზანშეწონილ მეთოდად ითვლება. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა გვკარნახობს ლიზინგის როლის მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობას (როდესაც საწარმოთა დიდი ნაწილი უუნაროა, წარმოების ინტენსიფიკაციისა და ტექნიკურ გდაიარაღებაში ჩადოს მსხვილი ფულადი სახსრები), რადგან იგი ნებისმიერი სახის საკუთრების ფორმის სამამულო წარმოების და საერთოდ საწარმოო სფეროს განვითარების საუკეთესო საშუალებაა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ლიზინგი წარმატებით ვიტარდება ყველა კონტინენტზე, ამას ხელს უწყობდა ლიზინგის გასაკუტრებულობა და სახელმწიფო მხარდაჭერა. შემთხვევითი არაა, რომ კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ლიზინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მსოფლიო სალიზინგო ბაზრის ძირითად მოთამაშეებად სალიზინგო ასოციაციები გვევლინებიან, რომლებიც წარმოდგენილნი არიან დამოუკიდებელ გაერთიანებებად. ნაციონალური ასოციაციები აერთიანებენ ლიზინგგამცემებს დარგობრივი მიმართულებით.

მსოფლიო სალიზინგო ბაზრის სტრუქტურა

სქემა#1



თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ფუნქციონირებს რამდენიმე ათასი სალიზინგო კომპანია. მათი მოქმედება განსხვავდება მიმართულებების, სალიზინგო ოპერაციათა მოცულობის, პოტენციალის, რეგიონული განლაგების და სხვა ფაქტორების მიხედვით. დასავლეთის რამდენიმე წამყვან ქვეყანაში ლიზინგის წილად მოდის ახალ ინვესტიციათა 30%-ზე მეტი, ხოლო ბოლო წლების მანძილზე მსოფლიო მასშტაბით სალიზინგო ოპერაციები გაიზარდა ხუთჯერ.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო სალიზინგო ასოციაციაა Leaseurope-European Federatcion of Eguipment Leasing Company Association (სალიზინგო კომპანიების ასოციაციათა ევროპის ფედერაცია), რომელიც 1972 წელს დაფუძნდა, მისი ცენტრალური ოფისი ბრიუსელში მდებარეობს. თანამედროვე ეტაპზე იგი აერთიანებს 46 წევრ-ასოციაციას ევროპის 34 ქვეყნიდან, რომლებიც თავის მხრივ აერთიანებენ ევროპის 1 400 სალიზინგო კომპანიას. Leaseurope-ს წევრ ასოციაციებზე მოდის ევროპის სალიზინგო მომსახურებათა 90%. სალიზინგო ფედერაციაში გაწევრიანებულია 31 ნაციონალური სალიზინგო ასოციაცია, რომლებიც წარმოადგენენ 1 300-ზე მეტს სალიზინგო კომპანიას. ასოციაციაში გაწევრიანებულმა სალიზინგო კომპანიებმა მოახდინეს 230 მილიარდი ევროს ინვესტირება მოწყობილობების და უძრავი ქონების სალიზინგო გარიგებებით, რამაც შეადგინა ევროპის სალიზინგო ბაზრის 92% და მსოფლიო სალიზინგო ბაზრის 45%. ასოციაციის შემადგენლობაშია შემდეგი კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები:

- სამაღთლის კომიტეტი, რომელიც აანალიზებს ფედერაციის ინსტრუქციებისა და წინადადებების პროექტს;
- აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი, იგი ფედერაციის ძირითადი საკონსულტაციო ორგანოა და არეგულირებს სალიზინგო ოპერაციების აღრიცხვიანობას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. კომიტეტს მუდმივი თანამშრომლობა აქვს აშშ-ს, კანადის, იაპონიის და ავსტრალიის სალიზინგო ასოციაციებთან;
- მარკეტინგის და სტატისტიკის კომიტეტი, იგი ახდენს ფედერაციის წევრი კომპანიების მუშაობის სტტაისტიკური მონაცემების თავმოყრასა და ანალიზს. კომიტეტი რეგულარულად აქვეყნებს გამოკვლევას-„ევროპის სალიზინგო

ბარომეტს“, რომელიც ასახავს სალიზინგო ბაზრის განვითარებას და სხვა მარკეტინგულ კვლევებს;

- სამუშაო ჯგუფი საკმარისი კაპიტალისათვის, ეს სამუშაო ჯგუფი განიხილავს იმ დოკუმენტებს, რომლებსაც ამზადებს ევროპის ცენტრალური ბანკი სალიზინგო კომპანიების საქმიანობისათვის საჭირო კაპიტატალის მიხედვით;
- სამუშაო ჯგუფი ცენტრალური, სამხრეთ და ჩრდილო ევროპის სალიზინგო კომპანიებისათვის. იგი დაკავებულია მოცემულ რეგიონებში მომუშავე სალიზინგო კომპანიების სპეციფიკით. ახდენს მოსაზრებებისა და ინფორმაციების გაცვლას, ასევე, აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მოღვაწეობის მთავარი მიმართულებაა უმცროსი მენეჯერების მომზადებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ევროპაში სალიზინგო გარიგებების დინამიკა 2012-2016 წლებში:

ევროპაში სალიზინგო გარიგებების დინამიკა 2012-2016 წლებში (მილიარდი ევრო)

#	ქვეყანა	ახალი სალიზინგო გარიგებების მოცულობა მილიარდ ევროში				ცვლილება %-ში	
		2012	2013	2014	2015	2016/2012	2016/2015
1	გერმანია	47,6	45,0	45,8	49,8	13,7%	8,7%
2	საფრანგეთი	39,6	39,0	37,4	40,2	10,4%	7,5%
3	დიდი ბრიტანეთი	38,1	44,7	49,6	60,8	69,2%	22,6%
4	იტალია	27,4	18,5	16,2	18	-39,6%	11,1%
5	რუსეთი	18,1	19,6	18,2	13,6	21,7%	-25,3%
6	შვეცია	10,3	17,1	12,1	12,3	-87,3%	1,7%
7	ესპანეთი	8,8	11	6,8	9,1	-17,2%	33,8%
8	ნიდერლანდები	8,5	7,1	8,7	8,8	23,4%	1,1%
9	შვეიცარია	8,4	7,1	7,3	8,5	19,3%	16,4%

10	პოლონეთი	7,6	6,8	8,4	10,2	49,3%	21,4%
11	დანარჩენი	42,2	36,7	41,4	44,4	5,3%	7,3%
	შედეგი	256,6	252,6	251,9	275,7	7,5%	9,5%

მსოფლიო სალიზინგო ბაზრის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა საერთაშორისო კომპანია London Financial Global Leasing Report. უკვე დიდი ხანია აქ აკუმულირდება ყველა ინფორმაცია ნაციონალური სალიზინგო ბაზრების შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით კი ხდება მსოფლიო მასშტაბით სალიზინგო ბიზნესის მოცულობების დადგენა. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ სალიზინგო ოპერაციათა მოცულობების ზრდამ მკვეთრად გადააჭარბა მანქანებისა და მოწყობილობების წარმოებაში ჩადებული კერძო კაპიტალდაბანდებების მოცულობას. კონკრეტულ ქვეყანაში სალიზინგო ურთიერთობების განვითარებას ხელს უწყობს:

- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა;
- სახელმწიფო რეგულირება;
- მაკროეკონომიკური პირობები, საინვესტიციო ბაზრის მდგომარეობა;
- საბანკო პროცენტის დონე, ინფლაციიდ დონე და ა.შ.

საერთაშორისო დონეზე სალიზინგო ურთიერთობების უნიციფირებისათვის 1974 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც 1988 წლის 28 მაისს შეიმუშავა კანონმდებლობა საერთაშორისო სალიზინგო ურთიერთობების რეგულირებისათვის, რომელიც ოტავის კონვენციის სახელითაა ცნობილი (Convention on international financial Leasing).

„ლიზინგის აქტიური დანერგვა როგორც ამერიკული, ისე ევროპული კომპანიების პრაქტიკაში აიხსნება იმ მრავალსაუკუნოვანი უპირატესობებით, რომლებითაც შეუძლიათ ისარგებლონ მის მონაწილეებს. მათ შორის აღსანიშნავია მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ვრცელდება სალიზინგო კომპანიებზე ახალი მოწყობილობების შესყიდვისას. აშშ-ში ლიზინგის გამოყენებას ხელი შეუწყო სხვადასხვა სახის ტრანსპორტის განვითარებამ. სარკინიგზო კომპანიები,

ცდილობდნენ რა ზედმეტი ხარჯების თავიდან აცილებას, იძენდნენ ლოკომოტივებს, ვაგონებს და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს არა საკუთრებაში ნასყიდობის ხელშეკრულებით არამედ მხოლოდ სარგებლობაში. შემდგომში ცალკეულმა საფინანსო კომპანიებმა ამ სიტუაციაში დაინახეს კაპიტალის დაბანდების ხელსაყრელი შესაძლებლობა: დაიწყეს გარკვეული მწარმოებლებისგან სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობის შეძენა იმ ორგანიზაციების თხოვნით, რომლებიც მათ ექსპლუატაციას ახდენდნენ იჯარით."[15]

ლიზინგის თანამედროვე ისტორია იწყება XX საუკუნის შუახანებიდან,როდესაც ამერიკაში შეიქმნა პირველი სალიზინგო კომპანია. მისი დამფუძნებელი იყო ჰენრი შონფელდი, რომელსაც ამერიკული ლიზინგის მამას უწოდებდნენ. ჰენრი შოლფელდის მიერ შექმნილი პირველი ამერიკული სალიზინგო კომპანია - United Stars Leasing Corporation-შემდგომში გახდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სალიზინგო კომპანია (დღეს-United States Leasing International Inc).შონფელდს მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა, რომლებიც ლიზინგის უპირატესობაში დარწმუნდნენ.

1959 წელს აშშ-ის სალიზინგო კომპანიამ თავისი ფილიალი შექმნა კანადაში. იმავე წელს ინგლისის სავაჭრო საკრედიტო კომპანიის (Mercantile Credit Company) გენერალური დირექტორი ეწვია აშშ-ს და შეხვდა სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლებს. ეს შეხვედრა გადამწყვეტი აღმოჩნდა ლიზინგის განვითარების ისტორიაში.

„1990 წლიდან სალიზინგო ოპერაციების მოცულობა გაიზარდა 10-ჯერ და 2000 წელს შეადგინა 545 მილიარდი $, ამ მოცემულობაში აშშ-ზე მოდიოდა 41%, აზიურ ქვეყნებზე 28% და დასავლეთ ევროპაზე 19%. 2013 წელს მსოფლიო სალიზინგო ოპერაციების მოცულობაში აშშ-ზე მოდიოდა 39,7%. ამ მოცემულობაში ავიალიზინგის წილი გაიზარდა 7-ჯერ, სადაც მოწყობილობების ძირითად მომწოდებლად გამოდიოდნენ ისეთი გიგანტი კომპანიები, როგორიცაა The Boeing Company და Airbus S.A.S. სალიზიგო ოპერაციების მდგომარეობა და სტრუქტურა შეგვიძლია დავყოთ ემრიკულ და ევროპულ ჯგუფებად. სალიზინგო მომსახურებათა ბაზარი აშშ-ში

[15] საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართული სალიზინგო ბაზრის შედარებითი ანალიზი. პიტიურაშვილი დავით. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3 გვ. 106-109. 2016.

კარგადაა განვითარებული, ამიტომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სალიზინგო ოპერაციების განხორციელების დროს სწორედ ამერიკული სტანდარტები გამოიყენება. “[16]

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ში სალიზინგო ურთიერთობების განვითარებას ხელი სამთავრობო მხარდაჭერამ შეუწყო. აშშ-ს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ფინანსური აღრიცხვის სტანდარტიზაციის სამსახურმა გამოსცა სპეციალური დადგენილება, რომელიც აიძულებდა სალიზინგო ფირმებს ზოგიერთი ფინანსური გარიგება აღერიცხათ, როგორ ქონებრივი შენაძენი და აეღოთ თავის თავზე ფინანსური ვალდებულებები. კერძოდ დადგენილებაში ჩართული იყო შემდეგი ნორმები:

- სალიზინგო გარიგებისას დაუშვებელი იყო ქონების შესყიდვის შესაძლებლობის გათვალისწინება საბაზროზე დაბალი ფასით;
- სალიზინგო ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა გადახდების ისეთ გრაფიკს, სადაც საწყის ეტაპზე იქნებოდა მეტი გადასახადები, ხოლო ბოლოს ნაკლები;
- სალიზინგო ურთიერთობებს უნდა უზრუნველეყო ლიზიგგამცემის მოგება ნორმალური საბაზრო დონით;
- სალიზინგო პერიოდის გაგრძელების შემთხვევაში მოწყობილობები უნდა აღრიცხულიყო საბაზრო ღირებულებით;
- სალიზინგო გარიგება საშუალებას იძლეოდა სალიზინგო პერიოდის გასვლის შემდეგ შეესყიდათ სალიზინგო ქონება საბაზროზე დაბალ ფასად და ა.შ.

1986 წელს აშშ-ში შეიცვალა კლიმატი სალიზინგო ურთიერთობებისათვის. ის საგადასახადო შეღავათები, რომელბიც XX საუკუნის 70-იან წლებში მაღალი ინფლაციის პირობებში იქნა შემოღებული აღარ განიხილებოდა, როგორც კაპიტალდაბანდებათა სტიმულირების ეფექტური ინსტრუმენტი. აშშ-ს საგადასახადო სისტემის რეფორმამ და ბევრმა სხვა რეფორმასთან დაკავშირებულმა პირობებმა, მნიშვნელოვნად შეამცირა ლიზინგის ეკონომიკური სარგებლიანობა, მაგრამ მისი

[16] საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართული სალიზინგო ბაზრის შედარებითი ანალიზი. პიტიურაშვილი დავით. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3 გვ. 106-109. 2016.

განვითარების პროცესი არ შეჩერებულა. სალიზინგო გარიგების უზრუნველყოფა ფინანსური რესურსებით მეტად მოქნილი პროცესია.

აზიაში ფუნქციონირებს ერთ-ერთი უდიდესი სალიზინგო ასოციაცია Asia-Lease (Asia Leasing Association the Umbrella Organization for the national Leasing Undusry Association of Asia). იგი დაფუძნდა 1982 წელს. მისი ცენტრალური ოფისი სინგაპურში მდებარეობს. ასოციაცია აერთიანებს აზიური რეგიონების 24 ქვეყანას, ორგანიზაციის შექმნის მიზანს წარმოადგენდა სალიზინგო მომსახურების გაფართოება, მოდერნიზება და არსებული გამოცდილების გაზიარება.

Japan Leasing Association-იაპონიის სალიზინგო ასოციაცია დაფუძნდა 1971 წელს და 360 სალიზინგო კომპანიას აერთიანებს. ლიზინგთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები ქვეყანაში რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით. იაპონიის სალიზინგო მომსახურებათა ბაზარზე სიდიდით განსხვავებული უამრავი კომპანიაა, რომელთა წილად მოდის ქვეყანაში გაფორმებული სალიზინგო ხელშეკრულებების მოცულობის 47, 5%.

სამხრეთ ამერიკაში ფუნქციონირებს მსხვილი სალიზინგო ასოციასია Felalease-Latin Amerikan Leasing Federacion. იგი 1983 წელს დაფუძნდა, ცენტრალური ოფისით მექსიკაში.

1984 წელს სამმა მსხვილმა ფედერაციამ აშშ-სა და ავსტრალიის სალიზინგო კომპანიებთან ერთად დააფუძნა World Lesing Counsil-მსოფლიო სალიზინგო საბჭო.

„გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა მსუბუქი ავტომობილების, სატვირთო მანქანების, თვითმფრინავების და კომპიუტერების სალიზინგო ბიზნესში მონაწილე კომპანიები გაერთიანდნენ სამ სპეციალიზებულ ასოციასიაში:

- European Car and Truck Rental Association-მსუბუქი და სატვირთო მანქანების იჯარით გამცემთა ევროპის ასოციაცია;
- International Association of Aircraft Leassors-თვითმფინავების ლიზინგითგამცემთა საერთაშორისო ორგანიზაცია;
- European Computer Leasing and Trading Association-კომპიუტერებით ვაჭრობის და ლიზინგითგამცემთა ევროპის ასოციაცია.

ევროპული სივრცისათვის დამახასიათებელია როგორც კერძო, ასევე საწარმოო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ლიზინგი. ამ ქონების შეყიდვების 60% სალიზინგო მომსახურებთ ხორციელდება. სალიზინგო მომსახურების დანარჩენი 40% სამოქალაქო და სატრანსპორტო ავიაციაზე, საზღვაო გემებზე, კომპიუტერულ ტექნიკაზე და სხვა წარმოების საშუალებებზე მოდის. თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სალიზინგო ოპერაციებით საწარმოო ფონდებში ინვესტიციების 25%-ზე მეტი ხორციელდება."[17]

ასოციაცია Leaseurope-ს წევრი ქვეყნების სალიზინგო ოპერაციათა დიდ უმრავლესობას შეადგენს მოძრავი ქონების ლიზინგი. ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს მოძრავი ქონების ლიზინგის წილის ზრდის მკვეთრად გამოხატულ ტენდენციას. საინტერესოა, რომ იგი შენარჩუნებულია როგორ ეკონომიკური აღმავლობის, ასევე დაცემის პირობებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ასოციაციის ევრი ქვეყნების ცალკეული მონაცემები მეტად განსხვავებულია. მაგალითად გერმანიაში, სადაც სალიზინგო საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, ლიზინგის წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში საშუალო დონეზეა-15,8%. ამავე დროს სალიზინგო ოპერაციათა მოცულობით გერმანია საერთოევროპული ლიდერია. საფრანგეთი და პორტუგალია, რომლებსაც სალიზინგო ურთიერთობათა შესახებ შემუშავებული მთელი რიგი კანონები გააჩნიათ, შედარებით ზომიერი მაჩვენებლების დემონსტრირებას ახდენენ. საერთო ნაციონალურ ინვესტიციებში სალიზინგო ოპერაციათა კუთვნილი წილით ლიდერობს ორი სახელმწიფო: ირლანდია (46%) და ინგლისი (35,8%). მრავალი წლის განმავლობაში სალიზინგო ბაზრის სიდიდით საფრანგეთი მყარად დგას მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულში. 2014 წელს ქვეყანაში გაფორმებული სალიზინგო გარიგებების ღირებულებამ შეადგინა 18,87 მილიარდი დოლარი. მომდევნო წლებში ზრდის ტემპმა წინა წლებთან შედარებით შეადგინა 10%. ლიზინგის შესახებ საკანონმდებლო აქტი ქვეყანაში მიიღეს 1966 წლის 2 ივლისს. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს და არეგულირებს მოწყობილობების და უძრავი ქონების ლიზინგს. საფრანგეთის

[17] საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართული სალიზინგო ბაზრის შედარებითი ანალიზი. პიტიურაშვილი დავით. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3 გვ. 106-109. 2016.

სალიზინგო კომპანიების უმეტესობა გაერთიანებულია ნაციონალურ ასოციაციაში Associoation Francaise des societies Financieres. საფრანგეთში ტრადიციულად პოპულარულია უძრავი ქონების ლიზინგი. ბაზრის ამ სექტორში მუშაობს ლიზინგგამცემების 57%. უძრავი ქონების სალიზინგო გარიგებების 90% ფორმდება 8-დან 16-წლამდე ვადით. ფრანგული სალიზინგო კომპანიების უმრავლესობას (64%) აქვს საბანკო სტატუსი ან მიეკუთვნება ბანკებს. ქვეყანაში სალიზინგო ოპერაციების მთელი მოცულობის ნახევარზე მეტს ახორციელებს 17 მსხვილი სალიზინგო კომპანია.

განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც სალიზინგო ოპერაციებმა შედარებით გვიან იწყეს განვითარება. მათი აბსოლუტური მოცულობები ძალზე დაბალია, მაგრამ ზრდის ტენდენცია აშკარად იგრძნობა. ერთადერთი გამონაკლისია ჩეხეთი, სადაც სალიზინგო ოპერაციათა მოცულობამ გადააჭარბა ნორვეგიის და საბერძნეთის შესაბამის მაჩვენებლებს. მაგალითად, 1998 წელს მანქანა-მოწყობილობის სალიზინგო ბრუნვამ შეადგინა ჩეხეთში- 305, ესტონეთში-53, უნგრეთში-101, პოლონეთში-453 მლნ.ევრო. ასეთ დროს საქართველოში ლიზინგის წილი კაპიტალურ ინვესტიციებში მხოლოდ 0.5-0.7%-ია.

სალიზინგო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. იქ, სადაც ლიზინგი წარმოადგენს ბანკების სპეციფიკურ ფუნქციას (იტალია, საფრანგეთი), სახელმწიფო არეგულირებს საბანკო საქმიანობასაც და აკონტროლებს სალიზინგო ურთიერთობებსაც. დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ბანკები აკონტროლებენ სალიზინგო ოპერაციების მხოლოდ იმ ნაწილს, რომლებიც ხორციელდება მათ დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების მიერ. სარანგეთში სალიზინგო საქმიანობა მკაცრად რეგულირდება სახელმწიფოს მხრიდან. განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც სალიზინგო ოპერაციებმა შედარებით გვიან იწყეს განვითარება. მათი აბსოლუტური მოცულობები ძალზე დაბალია, მაგრამ ზრდის ტენდენცია აშკარად იგრძნობა. გამონაკლისია ჩეხეთის რეპუბლიკა, სადაც სალიზინგო ოპერაციათა მოცულობამ გადააჭარბა ნორვეგიის და საბერძნეთის შესაბამის მაჩვენებელს.

თავი II

ქართული სალიზინგო ბაზარი

3.1. საქართველოში სალიზინგო ურთიერთობების განვითარების გავლილი გზა და დღვანდელი მდგომარეობა

საქართველოში სალიზინგო ურთიერთობების განვითარება დაიწყო 1997 წლიდან. სალიზინგო ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების შემოღებამდე გარკვეული სალიზინგო ოპერაციები ხორციელდებოდა. მაგალითად, 1997 წლის 8 აპრილს იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, იაპონიის მხარემ გამოგვიყო უსასყიდლო დახმარება. გრანტის მოცულობა შეადგენდა 4 მილიონ დოლარს. მომდევნო წლებში სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობისათვის ასევე ჩინეთმა და საბერძნეთმა გამოგვიყო გრანტი.

„საქართველოში სალიზინგო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580 მუხლები და საქართველოს კანონი-"სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 2002 წელს. კანონის თანახმად, ლიზინგი არის ლიზინგის საგნის გამცემის მიერ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ლიზინგის საგნის მესაკუთრისგან ან მწარმოებლისგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით."[18]

„სალიზინგო საქმიანობა არის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომელიც საბაზრო ეკონომიკური მოდელის დამკვიდრებას შემოყვა საქართველოში, თუ სამეწარმეო საქმიანობის სხვა სახეებში საქართველოში უკვე დიდი ხანია არსებობს

[18] ფინანსური იჯარა (ლიზინგი). ქეთევან ორმოცაძე. ბუღალტრული აღრიცხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. მარტი. N3. გვ.37-42. თბილისი, 2014.

საკმაოდ მაღალი კონკურენცია, ლიზინგის ბაზარი არის ერთადერთი, სადაც მოთხოვნა სჭარბობს მიწოდებას. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში კანონიც არის მიღებული ,,სალიზინგო საქმიანობის შესახებ" და საკრედიტო რესურსიც, როგორც ლიზინგის ალტერნატივა საკმაოდ ძვირია, რის გამოც მასზე ხელი არ მიუწვდებათ არა მხოლოდ მცირე და საშუალო სიდიდის ფირმებს, არამედ, ხშირ შემთხვევაში მსხვილ ფირმებსაც კი, ლიზინგი სათანადოდ მაინც არ არის განვითარებული. მართალია, საქართველოში 138 სალიზინგო ფირმა არის დარეგისტრირებული, მაგრამ ფაქტიურად მისი 10%-იც კი არ მუშაობს. სპეციალიზაციის მიხედვით საქართველოში 46 ფირმა ავტომობილების ლიზინგითაა დაკავებული, 6 - სასოფლო ტექნიკით, 50 - საყოფაცხოვრებო ტექნიკით, 5 - საოფისე ტექნიკით, 11 - ტრანსპორტით, 6 - სამშენებლო ტექნიკით."[19]

სალიზინგო ფირმები სამართლებრივი ფორმების მიხედვით ასე ნაწილდება: სააქციო საზოგადოებები-11%, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები-23%, ინდივიდუალური ფირმები-37%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები-27.6%, კომანდიტურ საზოგადოებებს და კოოპერატივებს-0.7% თითოეულს.

საქართველოში არსებული სალიზინგო ფირმების უდიდესი ნაწილი (თითქმის 50%) თბილისშია დარეგისტრირებული და მათი სამუშაო ადგილიც თბილისშია. ეს იმით აიხსნება, რომ სხვა ქალაქებთან შედარებით თბილისი ბიზნეს აქტიურობით გამოირჩევა. ფირმების 19 % (26 ფირმა) კახეთშია დარეგისტრირებული, 10 % (14 ფირმა) - იმერეთში, 6.5 % (9 ფირმა) ქვემო ქართლში, 6 % (8 ფირმა) შიდა ქართლში, 5 % (6 ფირმა) სამეგრელო-ზემო სვანეთში და ა.შ. სალიზინგო ფირმების ასეთ არათანაბარ განაწილებას საქართველოს ტერიტორიაზე სალიზინგო მომსახურებაზე არათანაბარი მოთხოვნა იწვევს და ამაში არაფერია უცხო და საგანგაშო.

„სალიზინგო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის არსებითი ფაქტორია, თუმცა საქართველოს ეკონომიკაში იგი უმნიშვნელო როლს თამაშობს. ეკონომიკის ექსპერტები თანხმდებიან, რომ სალიზინგო სექტორის განვითარება ქვეყანაში

[19] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1
საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ. გადამოწმებულია 11.08.2020

ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. ის განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერებას უწყობს ხელს.“[20]

პირველი სალიზინგო კომპანია საქართველოში 2001 წელს გაჩნდა, სალიზინგო საქმიანობის შესახებ კანონი კი კომპანიის დაარსებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მომზადდა. არსებული სტატისტიკით, საქართველოში ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ სამი სალიზინგო კომპანია მოქმედებს:

- „თიბისი ბანკის“ სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგი“;
- საქართველოს ბანკის „საქართველოს სალიზინგო კომპანია“;
- დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანია „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“.

„თიბისი ბანკმა“ კომპანია „თიბისი ლიზინგი“ 2004 წელს დააფუძნა. კომპანიის ძირითად მომსახურებას ფინანსური ლიზინგი წარმოადგენს. სალიზინგო კომპანია კლიენტის მიერ შერჩეულ კონკრეტულ ნივთს შეისყიდის და გადასცემს სარგებლობაში კლიენტს ყოველთვიური საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში კლიენტი ლიზინგის საგნის მესაკუთრე ხდება, ან თუ ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, თანხის გადახდის შემდეგ საკუთრების უფლება კომპანიას უნარჩუნდება. წლების წინ ლიზინგის დარგში დაწყებული ზრდა ფინანსურმა კრიზისმა შეაფერხა, თუმცა, 2011-2012 წლებში ვითარება შეიცვალა და კომპანიის პორტფელი თითქმის ასი პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2016 წელს 30-პროცენტიანი ზრდაა,რაც საქართველოს პატარა ბაზრის პირობებში მნიშვნელოვანი მიღწევაა.

თუ 2008 წლის ცნობილ პოლიტიკურ მოვლენებამდე „თიბისი ლიზინგი“ ძირითადად სამშენებლო სექტორზე მუშაობდა, დღეს უკვე მშენებლობის კონცენტრაცია პორტფელში მხოლოდ 25 %-ის ფარგლებშია. განვითარდა სამედიცინო მიმართულების დაფინანსება, ასევე, ტრანსპორტი, მცირე წარმოება და სადისტრიბუციო დარგი. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში „თიბისი ლიზინგმა“ აქტიური

[20] ფინანსური იჯარა (ლიზინგი). ქეთევან ორმოცაძე. ბუღალტრული აღრიცხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. მარტი. N3. გვ.37-42. თბილისი, 2014.

მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის დაფინანსების კუთხით. ეს არის საერთაშრისო პროექტი და ამჟამად დაახლოებით ათი პროექტია დაფინანსებული.

კომპანია „ალიანს ჯგუფი ლიზინგი“ ერთადერთი დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიაა. ის სალიზინგო საქმიანობას ადგილობრივ ბაზარზე 2006 წლიდან ეწევა. კომპანია, ძირითადად, მიკრო, მცირე და საშალო ზომის მეწარმეებს ემსახურება, რომლებიც განვითარების საწყის, ან გაფართოების სტადიაზე არიან.

რაც შეეხება ლიზინგის დროს დამატებით უზრუნველყოფას, ორივე სალიზინგო კომპანიაში ამბობენ, რომ დამატებით უზრუნველყოფა უძრავ-მოძრავი ქონების სახით საჭირო არ არის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში თავდებობა შეიძლება იყოს მოთხოვნილი. თავდებობას ზოგადად, დამფუძნებლების მხირად ითხოვენ. ეს მოთხოვნა სტანდარტულია. იმ სფეროში, სადაც ისინი მუშაობენ, დიდი რისკებია. ძალიან დიდი მნიშვნელობაექცევა საქართველოში იმას, თუ ვინ არის კომპანიის დამფუძნებელი, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ დამფუძნებელი დგას მენეჯმენტის სათავეში. თავდებობა რეალურად მუშაობს მხოლოდ პრობლემურ შემთხვევაში, როცა ისინი ვერ გავყიდიან დანადგარს იმ ფასად, რომ ვალდებულება გადაფარონ.

საქართველოში სალიზინგო ბაზრის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი არსებობს და ამას 2011 წელს სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეუწყო ხელი. ამ ცვლილებებით სალიზინგო მომსახურება გამარტივდა და საგადასახადო აღრიცხვიანობის საკითხი დარეგულირდა როგორც ლიზინგის გამცემისთვის, ასევე - ლიზინგის მიმღებისთვის.

2011 წლის ნოემბერში ლიზინგთან დაკავშირებით ცვლილებები სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსში შევიდა. კანონპროექტის მომზადება რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები, ასევე-სალიზინგო კომპანიების წარმომადგენლები, ბიზნეს ასოციაციები და საერთაშორისო ექსპერტები. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის პირველ ნოემბერს დაამტკიცა. სამოქალაქო კოდექსში შესული ამ ცვლილებების შემდეგ, ლიზინგი, როგორც დამოუკიდებელი გარიგების ტიპი, ისე დარეგისტრირდა, იქამდე ლიზინგი იჯარის ერთ-ერთი სახე იყო.

„არანაკლებ დიდი პრობლემა საგადასახადო რეგულირების არ არსებობა იყო. საგადასახადო კოდექსი სალიზინგო კომპანიებს ახრჩობდა, მძიმედ ბეგრავდა. უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, ვიდრე სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებს. თუმცა, სალიზინგო საქმიანობა ისევ დღგ-ით იბეგრება და ეს ნორმა დარჩა კანონმდებლობაში. ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. უცხოეთში ის დღგ-სგანაც არის გათავისუფლებული და კანონმდებლობა ძალიან ბევრ საკითხს არეგულირებს. ჩვენთან სალიზინგო საქმიანობა დღგ-სგან არ არის გათავისუფლებული და ამიტომაც ამ ტექნიკით სარგებლობა კრედიტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე- ლიზინგით. მეწარმეს ურჩევნია ბანკიდან კრედიტი გამოიტანოს, ვიდრე ლიზინგით ისარგებლოს, რადგან თვიურად გადასახდელ თანხას დღგ-ით გათვალისწინებული პროცენტიც ემატება. რეალურად ის უფრო ძვირი ჯდება.“[21]

საერთაშორისო პრაქტიკით სამი ტიპის სალიზინგო კომპანია არსებობს:

- პირველი-დიდი მწარმოებლების სალიზინგო კომპანიები;
- მეორე-ბანკის შვილობილი სალიზინგო კომპანიები;
- მესამე-დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიები.

საქართველოში მხოლოდ ორი ტიპის სალიზინგო კომპანიაა - ბანკთან არსებული და დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანია. საქართველოს კანონმდებლობა ბანკთან არსებულ სალიზინგო კომპანიის არსებობას ეროვნული ბანკის თანხმობით უშვებს. პრობლება უფრო ფინანსების სიმცირეა, რადგან ევროპაშიც გაჭირდა ფულის და კრედიტების მოზიდვა. შესაბამისად, ბანკებსაც ნაკლები საშუალება აქვთ ამ ეტაპზე გაფართოვდნენ და სალიზინგო კომპანიები დააფუძნონ. მეორე მხირვ, ცოდნის ნაკლებობაა, ისინი, ანუ ბანკები უყურებენ სალიზინგო კომპანიებს როგორც მათ კონკურენტებს. მსოფლიო გამოცდილება კი უჩვენებს, რომ ბანკები და სალიზინგო

[21] ლიზინგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაძენად მეტად ხელსაყრელი სერვისია. გვანცა გვიჩია. შოთა მაჭარაშვილი. ახალი აგრარული საქართველო : სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. მარტი. N3(35).გვ.15-17. - თბილისი, 2014.

კომპანიები სხვადასხვა სეგმენტში არიან და არ წარმოადგენენ ერთმანეთის კონკურენტებს.

განვითარებად ქვეყნებში ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის საჭირო ინვესტიციების 3-15% ლიზინგით ფინანსდება, განვითარებულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი 30%-ს აღწევს. საქართველოში, რომელიც წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას, ლიზინგით ფინანსდება მთელი აქტივების დაახლოებით 2%, დანარჩენი 98% ძირითადი საშუალებების შეძენისას სარგებლობს საბანკო ან მიკროსაფინანსო სესხით ან საკუთარი ფინანსური სახსრებით.

„საქართველოში ლიზინგი სათანადოდ ჯერ კიდევ არ არის განვითარებული, თუმცა, ჩვეულებრივ სესხთან შედარებით, მას ბევრი უპირატესობა გააჩნია. ლიზინგით ქონების აღებას არ სჭირდება გირაო, ლიზინგის საგანი უზრუნველყოფის საშუალებას თავად წარმოადგენს. სალიზინგო ქონების უკან დაბრუნების, ან საბოლოო შესყიდვის ვადები ლიზინგის მიმღებთან არის შეთანხმებული, დაფინანსება 100%-იანი საჭიროების მიხედვით იდება და სალიზინგო გადასახდელიც ბანკის სარგებელზე ნაკლებია. სალიზინგო კომპანიების დამფუძნებლები ძირითადად ბანკები და სხვა საფინანსო ინსტიტუტები არიან, რადგანაც კლიენტს ურჩევნია, მიიღოს კრედიტი არა ფულადი სახით, არამედ, ის ქონება, რომლის ყიდვასაც იგი ამ ფულით აპირებს. თუმცა, ბანკებს უშუალოდ სალიზინგო ოპერაციების განხორციელების უფლება არა აქვთ.“[22]

სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმება მარტივია და ფინანსურ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. საქართველოში სალიზინგო კომპანიები კლიენტებს ფინანსურ და დაბრუნებით ლიზინგს სთავაზობენ. ფინანსური ლიზინგის ვადები 5-დან 15 წლამდეა. სალიზინგო კომპანია შეისყიდის კლიენტის მიერ შერჩეულ კონკრეტულ ნივთს და ყოველთვიური საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, გადასცემს მას სარგებლობაში. სალიზინგო საზღაურის სრულად გადახდის შემდეგ, კლიენტი ლიზინგის საგნის მესაკუთრე ხდება. რაც შეეხება დაბრუნებით ლიზინგს, ამ შემთხვევაში, სალიზინგო კომპანია კლიენტის ფიქსირებულ აქტივებს ყიდულობს და მას ფინანსური ლიზინგით გადასცემს. კლიენტი აქტივებით სარგებლობას ჩვეულებრივ

[22] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

აგრძელებს და ლიზინგის საზღაურის გადახდის შემდეგ, საკუთრების უფლებას იბრუნებს.

ფინანსურ ლიზინგს დღესდღეობით სალიზინგო კომპანიების პორტფელების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნული სახის ლიზინგი იმ ქვეყნებში, სადაც ლიზინგის ინდუსტრია განვითარების საწყის ეტაპზეა. მაღალი რისკი უკავშირდება მანქანა-დანადგარების მეორადი ბაზრის არარსებობას. ასეთ ქვეყნებში სალიზინგო კომპანიები კლიენტურას ვერ სთავაზობენ დანადგარის მობრუნების შესაძლებლობას, რამეთუ დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული მანქანა-დანადგარების მეორადი რეალიზაცია. ამ ეტაპზე საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები საკუთარ თავზე იღებენ საკრედიტო და არა ლიზინგის საგანთან დაკავშირებულ რისკებს.

ასე რომ, ლიზინგის განვითარება არა მხოლოდ მეწარმეებისათვისაა მომგებიანი, არამედ, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვისაც. ჯანსაღი სალიზინგო ბაზარი ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული წარმოების დარგების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მცირე და საშალო ბიზნესის განვითარებას, ინოვაციების დანერგვასა და სხვა მრავალს. ბიზნესის განვითარება კი ჩვენი საზოგადოების საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის წინაპირობაა.

საქართველოს მთავრობა სალიზინგო სექტორის განვითარებისათვის ახალ კონცეფციაზე მუშაობს. კონცეფციის მიხედვით ჩამოყალიბდება, ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აქტივების დაფინანსების ახალი წყაროების შექმნას, პროდუქტების განვითარებასა და ამ სფეროში ახალი ტიპის ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. მიმდინარეობს სამტავრობო მხარისა და სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრები, რომ საქართველოში სალიზინგო კანონმდებლობა განვითარდეს. ამ პროცესებში უცხოელი ექსპერტებიც არიან ჩართულები. ახალი კონცეფციის მიზანია სალიზინგო სექტორის მეტად განვითარება, რაც თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს, რომ დაზგა-დანადგარებისა და სხვა ტექნიკა უფრო იაფად იქნეს შეძენილი. რაც თავის მხრივ ბიზნესის ადვილად დაწყების საშუალებას იძლევა. სალიზინგო ბაზრის წარმომადგენლების აზრით კანონმდებლობის დახვეწის შემდეგ თავად სალიზინგო მომსახურეობის ტარიფებიც გაიაფდება, მწარმოებლების შემოსვლა უფრო

გააქტიურდება და ეს კომპანიების ბრუნვას გაზრდის, ეს კი ამ აქტივებზე ფასების დაწევას შეუწყობს ხელს. რაც საბოლოო ჯამში კომპანიებისათვის მეტი სტიმული ინება, რომ ფიქსირებულ აქტივებში მეტი დააბანდონ.

„ექსპერტთა განსხვავებული ჯგიფის აზრით საქართველოში სალიზინგო ბაზრის განვითარებას ხელს საგადასახადო პრობლემები უშლის და ეს ყველაფერი კი მის განვითარებას აჭიანურებს. კანონმდებლობის შეცვლა ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის განვითარება მოხდება და საშუალება მოგვეცემა ძირითადი საშუალებები ვიყიდით და მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარდეს.“[23]

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, ლიზინგის კანონი თავიდან იწერება, როგორც კომერციული სამართლის, ასევე საგადასახადო რეგულირების მიმართულებითაც. ლიზინგის განვითარება, რომ ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა, ამას აჩვენებს სტატისტიკური მონაცემები იმ ქვეყნებისა, სადაც ლიზინგის შეღწევადობა მაღალია. ლიზინგის განვითარება საჭიროა იმისათვის, რომ მეწარმეებმა ალტერნატიული დაფინანსების წყაროს მეშვეობით ისარგებლონ. ახალი პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკური განვითარებას, რათა სალიზინგო ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვანი სტიმული მიეცეს. იგი ხელს შეუწყობს: ტექნიკის შეძენის ფინანსირების ალტერნატიული, საბანკო სესხებზე იაფი ინსტრუმენტის ჩამოყალიბებას; საერთაშორისო მწარმოებლების ინტერესის გაზრდას საქართველოს ბაზარზე. ეს გაზრდის მათ მიერ საქართველოში იმპორტის მოცულობას და მათ პროდუქციაზე ფასების ხელმისაწვდომობას; საქართველოში სალიზინგო ტრანზაქციების შესაძლებლობის შექმნას, რაც დარგის რეგიონალური განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

[23] ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018

3.2. ქართულ სალიზინგო ბაზარზე მოქმედი წარმატებული სალიზინგო კომპანიები

„სს თიბისი ლიზინგი დაფუძნდა 2003 წელს. 2018 წლისთვის კომპანიის კლიენტთა რაოდენობამ 2’500-ს გადააჭარბა და გაფორმდა 5’000 მეტი ხელშეკრულება. კომპანია დღეისათვის ლიდერია ბაზარზე 70%-იანი წილით და მართავს 240 000 000 ლარის პორტფელს. თიბისი ლიზინგში დასაქმებულია 100-ზე მეტი თანამშრომელი. თიბისი ლიზინგის კლიენტები არიან: სამედიცინო, პოლიგრაფიული, სატრანსპორტო კომპანიები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურებისა და ვაჭრობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში მომუშავე კომპანიები მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია აქტიურადაა ჩართული სახელმწიფო პროგრამებში ("აწარმოე საქართველოში", სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, „იაფი აგრო-სესხი“). 2015 წლიდან კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ექსკლუზიურ პირობებს სწრაფ ავტო-ლიზინგზე! ახალი, მეორადი, ადგილობრივი და იმპორტირებული ავტომობილების დაფინანსება - როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისთვისაა განკუთვნილი. კომპანიისთვის ეს პირველი პროდუქტია ფიზიკური პირებისთვის.“[24] სისწრაფე და მოქნილობა მიმზიდველს ხდის თიბისი ლიზინგის პროდუქტებს როგორც დამწყები და მზარდი, ასევე შემდგარი მსხვილი კომპანიებისათვის. კომპანია მუდმივად ცდილობს განავითაროს პარტნიორული ურთიერთობები ადგილობრივ მომწოდებლებთან და მომხმარებლებს შესთავაზოს მოქნილი პროდუქტები. ბაზარზე მოწინავე სალიზინგო კომპანიის პოზიციასთან ერთად "თიბისი ლიზინგს" მრავალი სანდო პარტნიორი ყავს, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. მათ შორის არიან: BSTDB, EBRD, RESPONSABILITY, SYMBIOTICS, MICROVEST, TRIPLE JUMP და სხვა. აგრეთვე, თიბისი ლიზინგი აქტიურად არის ჩართული სახელმწიფო პროგრამებში, როგორიცაა-„აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, იაფი აგრო-სესხი“.

[24] პროდუქტები ჩემი ბიზნესისთვის. თიბისი ლიზინგი. https://www.tbcleasing.ge/home გადამოწმებულია 14.06.2020

სექტორები, რომელსაც აფინანსებს „თიბისი ლიზინგი“: მედიცინა, მომსახურება, განვითარება, მშენებლობა, ინდუსტრიული (აგრო, წარმოება, ვაჭრობა), ბუნებრივი რესურსები, განახლებადი ენერგიები, ტექნოლოგიები, მედია და ტელეკომუნიკაცია.

ფინანსური ლიზინგის პირობები:

აქტივის ღირებულება საშუალოდ: $25,000 - $1,000,000 ვადა: 12 – 84 თვე სტანდარტული თანამონაწილეობა: 15-35% უზრუნველყოფა: მანქანა-დანადგარი, რომელსაც თქვენ შეისყიდით.

„თიბისი ლიზინგის“ მომსახურებით სარგებლობს მრავალი კომპანია. „თიბისი ლიზინგის“ კომპანიის აქტიურობას მოწმობს ის ფაქტი,რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ უშუალო დახმარებით უკავია საქართველოში დომინანტი პოზიცია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მიიღ გადაწყვეტილება სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგის“ აქციათა 10 %-ს შესყიდვის თაობაზე. ეს EBRD-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოს სალიზინგო სექტორში. EBRD-მა „თიბისი ლიზინგს“ 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო. აღნიშნული ინვესტიცია ხელს შეუწყობს არა მარტო „თიბისი ლიზინგის“ წარმატებულ მოღვაწეობას და კომპანიის ეფექტურობის ზრდას, არამედ იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება ახლად წარმოქმნილი ქართული სალიზინგო ბაზრის განვითარებას. EBRD-ის სესხი 5 წლიანია, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს „თიბისი ლიზინგს“, განახორციელოს სალიზინგო პროექტები კერძო, მცირე და საშუალო ზომის ქართულ კომპანიებთან.

საწარმოებს შორის ლიზინგზე მოთხოვნა „თიბისი ლიზინგის“ პორტფელში ასეა გადანაწილებული:

- კლიენტების 15% - წვრილი წარმოებაა;
- 55% - საშუალო ზომის;
- 30% კი - მსხვილი კომპანიები.

Best Equity Fund (LHV Persian Gulf Fund) GCC 2015	LHV Asset Management
Best Asset Manager GCC 2015	United Securities LLC
Best New GCC Fund 2015 – SEDCO Capital GCC Equities Fund	Sedco Capital
Fastest Growing Retail Bank Gambia 2015	FBNBank (The Gambia) Limited
Best Retail Bank Gambia 2015	Trust Bank Ltd
Best Regional Trade Finance Bank Gambia 2015	Ecobank Gambia ltd
Best Banking Cards (Regional and Visa Card) Gambia 2015	Ecobank Gambia ltd
Best Commercial Bank Gambia 2015	Guaranty Trust Bank (Gambia) Ltd
Best Internet Bank Gambia 2015	Guaranty Trust Bank (Gambia) Ltd
Best Leasing Company Georgia 2015	TBC Leasing
Fastest Growing Corporate Bank Georgia 2015	PASHA Bank
Best Retail Bank Georgia 2015	Liberty Bank
Best E-commerce Bank Georgia 2015	Capital Bank
Best Investment Brokerage Company Georgia 2015	Galt & Taggart
Best Corporate Finance Advisory Georgia 2015	Galt & Taggart

„2016 წელს თიბისი ლიზინგი 4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხით დაფინანსდა. ფინანსური რესურსი თიბისი ლიზინგისათვის შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა გამოყო. მოზიდული თანხით თიბისი ლიზინგი მცირე და საშუალო ბიზნეს-ორგანიზაციების დააფინანსებას განაგრძობს. ახალი სესხი, რომელიც

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა თიბისი ლიზინგს გამოუყო წინ გადადგმული ნაბიჯია არასაბანკო ფინანსური სექტორის განვითარებისთვის საქართველოში, რაც თავის მხრივ ზრდის დაფინანსებასთან ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. ლიზინგი, როგორც ძირითად საშუალებებში ინვესტირების საშუალება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.“[25]

[25] სტანდარტული ფინანსური ლიზინგი. https://www.tbcleasing.ge/home
გადამოწმებულია 14.06.2020

თბილისში ცნობილი სანაყინე „ლუკა პოლარესიც“ „თიბისი ლიზინგთან“ თანამშრომლობს. ბიზენსის დაწყებისას, ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა პარტნიორმა დააფინანსა. შემდგომ უკვე “თიბისი-ლიზინგი”-ს დახმარებით შეძელეს კაფე-სანაყინის და წარმოების გაფართოება. დღესაც “თიბისი-ლიზინგთან” თანამშრომლობენ და ერთად ბევრი სამომავლო პროექტებს გეგმავენ. „ლუკა პოლარეს“ ისტორია ერთი პატარა კაფე-სანაყინით დაიწყო ლესელიძეზე. მალევე დაემატა მეორეც. ამჟამად უკვე ხუთი ლოკაცია აქვთ თბილისში. კონკურენტულ ბაზარზე მნიშვნელოვანია ძლიერი პარტნიორის მხარდაჭერა.

კომპანია მუშაობას წარმართავს პრინციპულად ახალი სალიზინგო პროექტების დასანერგად, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კლიენტებს, შეამცირონ ყოველთვიური გადასახდელები: ლიზინგის ვადის განმავლობაში კლიენტი გადაიხდის მხოლოდ საგნის ღირებულების ნაწილს და პერიოდის ბოლოს შაშუალება ექნება, დააბრუნოს მოძველებული ლიზინგის საგანი და სარგებლობაში მიიღოს ახალი. 2004 წლის სექტემბერში „თიბისი ლიზინგმა“ ხელშეკრულება გააფორმა „ADVANTAGE“ - თან. „ADVANTAGE“ წარმოადგენს USAID - ის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა.

Global Banking & Finance Review Awards-2015 მიხედვით "თიბისი ლიზინგი" 2015 წლის საუკეთესო სალიზინგო კომპანიაა საქართველოში.

სტარტო არის თიბისი ლიზინგის ახალი პროდუქტი, რომელიც ფიზიკურ პირებს შესაძლებლობას აძლევს სახლიდან გაუსვლელად, საბუთების წარდგენის გაერეშე, ონლაინ განაცხადის შევსებით შეიძინონ მეორადი ავტომობილები სტარტო უნიკალური პროდუქტია, რადგან მთლიანად მომხმარებლის კომფორტზეა მორგებული. მანქანის შეძენის მსურველს აღარ მოუწევს ოფისში მისვლა, კონსულტანტთან გასაუბრება, საბუთების წარდგენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლოდინი. სტარტოს მეშვეობით ყველაფერი უმოკლეს დროში, ონლაინ მოხდება. სტარტო შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს მიიღოს დაფინანსება ავტომობილის შესაძენად, ან მიიღოს თანხა უკვე არსებული ავტომობილის უზრუნველყოფით. ლიზინგის ვადის განმავლობაში მომხმარებელი შეძლებს ავტომობილით სრულყოფილად სარგებლობას.

მათ, ვინც უკვე სარგებლობს ავტოლიზინგით ან ავტოსესხით სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, შეუძლიათ სტარტოში დაპორტირდნენ. სტარტოს პროდუქტებით სარგებლობისთვის საჭიროა, შეავსოთ მარტივი ონლაინ განაცხადი სტარტოს ვებ-გვერდზე www.starto.ge (თუ მანქანა განთავსებულია რომელიმე ვებგვერდზე, მომხმარებელს შეუძლია დააკოპიროს ბმული/ლინკი. ასევე, შესაძლებელია სასურველი ან საკუთარი მანქანის ფოტოების ატვირთვაც). განაცხადის გაგზავნიდან რამდენიმე წუთში სტარტოს წარმომადგენელი დაგიკავშირდებათ, გაივლის ყველა დეტალს და შეგატყობინებთ პასუხს დაფინანსებაზე. თქვენ მხოლოდ ერთხელ მოგიწევთ სტარტოს ოფისში მისვლა ხელშეკრულების გასაფორმებლად და ავტომობილის რეგისტრაციის პროცედურის გასავლელად. მთლიანი პროცესი დაახლოებით 30 წუთს გრძელდება.

სტარტოს მომხმარებელი საჭიროა იყოს 21 წლის და ზევით. ავტომობილის წლოვანებაზე შეზღუდვა არ არის, თუმცა ის მინიმუმ $2,000 აშშ დოლარად უნდა შეფასდეს. სტარტოსგან დაფინანსების მიღება შეუძლია ყველას:

- თუ ავტომობილის შეძენა გსურთ და არ გაქვთ შესაბამისი დანაზოგი, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დაფინანსება ავტომობილის შეფასებული ღირებულების 100%-მდე ოდენობით.
- თუ უკვე გყავთ ავტომობილი და გესაჭიროებათ თანხა, შეგიძლიათ ავტომობილის უზრუნველყოფით მიიღოთ დაფინანსება, ღირებულების 100%-მდე ოდენობით.
- თუ გსურთ განაახლოთ ავტომობილი ან შეიძინოთ უფრო ეკონომიური, შეგიძლიათ მიიღოთ განსაკუთრებული პირობები ჰიბრიდულ ავტომობილებზე.
- თუ თქვენი საკრედიტო ისტორია არ არის დადებითი, სტარტო განიხილავს განაცხადს და მცირედი დამატებითი მოთხოვნების საფუძველზე თქვენ შეძლებთ დაფინანსების მიიღებას.

სტარტოში წლიური საპროცენტო განაკვეთი ყოველი კონკრეტული ავტომობილის და კლიენტის შემთხვევაში ინდივიდუალურია და რამდენიმე მაჩვენებელზეა დამოკიდებული. მათ შორის, კლიენტის საკრედიტო ისტორიაზე, ავტომობილის

ტიპზე, საბაზრო ღირებულებაზე, ლიზინგის ვადასა და კლიენტის მხრიდან თანამონაწილეობის (პირველადი შენატანის) მოცულობაზე.“[26]

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო / Arda-ს და თიბისის ერთობლივი პროექტის "შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში, სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეებისთვის აგროლიზინგზე გაუმჯობესებული პირობები მოქმედებს. შეღავათიანი აგროლიზინგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს / ქვეკომპონენტებს: შეღავათიანი აგროლიზინგის ძირითადი პირობებია: ა) შეღავათიანი აგროლიზინგი; ბ) ლიზინგის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტი; გ) ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისთის მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება; ლიზინგის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით; ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ; სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 12%, 48 თვე; დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 12%. ბ) ლიზინგის სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტის ძირითადი პირობებია: მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება; ლიზინგის მოცულობა: 1,500,000-დან 10,000,000 ლარის ჩათვლით; ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ; სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 12%, 36 თვე; დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 7%. შენიშვნა: ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება (ამ მიზნობრიობით სესხის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით). გ) შეღავათიანი აგროლიზინგის ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციისთვის ძირითადი პირობებია: მიზნობრიობა: სესხი გაიცემა მხოლოდ ახალი და არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ან/და იმპლემენტის შესაძენად; ლიზინგის მოცულობა: 20,000-დან 1,500,000 ლარის ჩათვლით; ლიზინგის ვადა: სალიზინგო კომპანიის შეხედულებისამებრ; სუბსიდიის ოდენობა და პერიოდი: წლიური 9%, 48 თვე; დასაშვები საპროცენტო განაკვეთი (არაუმეტეს): NBG + 12%.

[26] https://www.marketer.ge/starto-leasing/ გადამოწმებულია 12.08.2020

შესაძენი ტექნიკა ან/და იმპლემენტი წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე და უნდა იყოს ახალი;“[27]

„საქართველოს ბანკის შვილობილი- **„საქართველოს სალიზინგო კომპანია“** 2001 წელს დაარსდა, 2015 წლიდან საქართველოს სალიზინგო კომპანია უკვე ფიზიკურ პირებსაც აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლონ ისეთი სალიზინგო პროდუქტებით, რომლებიც ბაზარზე ამ დრომდე არ იყო წარმოდგენილი. ლიზინგის დახმარებით თქვენ შეძლებთ შეიძინოთ აქტივები კაპიტალური დანახარჯების გარეშე. შედეგად შესაძლებლობა გეძლევათ დაზოგოთ საკრედიტო ხაზები ბიზნესის შემდგომი განვითარებისათვის. შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (GLC) „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის წევრი კომპანიაა, რომელსაც 15-წლიანი გამოცდილება აქვს სალიზინგო მომსახურების სფეროში. GLC იყო პირველი სალიზინგო კომპანია, რომელმაც მომხმარებლებს საქართველოში შესთავაზა ლიზინგი, როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყარო და ამ მისიას დღესაც წარმატებით ახორციელებს. GLC დამწყებ, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს სალიზინგო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს, მათ შორის: ფინანსურ, დაბრუნებით და საოპერაციო ლიზინგს.“[28] GLC ლიზინგით აფინანსებს ფიზიკურ პირებსაც. „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ მომხმარებლებს პარტნიორებად მოიაზრებს, მათ წარმატებას მიიჩნევს საკუთარ წარმატებად და ყველას მხოლოდ მათზე მორგებულ მაღალი დონის მომსახურებას სთავაზობს. სალიზინგო პროდუქტებია:

- ფინანსური ლიზინგი
- ავტოლიზინგი
- ავტოლიზინგი ფინანსური უწყისების წარდგენის გარეშე
- ავტოლიზინგი ნარჩენი ღირებულებით
- რესტორნის აღჭურვილობის ლიზინგი
- დაბრუნებითი ლიზინგი
- საოპერაციო ლიზინგი

[27] https://tbcleasing.ge/assets/project/arda.pdf გადამოწმებულია 13.08.2020
[28] ფინანსური ლიზინგი. https://leasing.ge/products#legal
გადამოწმებულია 16.06.2020

„ფინანსური ლიზინგი მსოფლიოში დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მსოფლიოს მასშტაბით დანადგარების გაყიდვების ერთი მესამედი ფინანსური ლიზინგის საშუალებით ხორციელდება. ,,საქართველოს სალიზინგო კომპანია" შეიძენს თქვენი ბიზნესისთვის საჭირო აქტივს (დანადგარი, მოწყობილობა, აღჭურვილობა, ავტომანქანა) ადგილობრივი ან უცხოელი მომწოდებლისგან; იმ თანხას კი, რომლითაც თქვენ აღნიშნული აქტივი უნდა გეყიდათ, გამოიყენებთ თქვენი ბიზნესის შემდგომი განვითარებისთვის. ლიზინგის ვადის ბოლოს, როდესაც სალიზინგო გადასახადები სრულად გექნებათ დაფარული, აქტივი გადმოგეცემათ საკუთრებაში.“[29]

პირობები:

ლიზინგის თანხა: მინ. 5 000 აშშ დოლარი

თანამონაწილეობა: მინ.15%

ლიზინგის ვადა: მაქს. 5 წელი

წლიური გაძვირება: 4.5%-7.5% კომპანიის ოპერირების პერიოდი: მომგებიანი ბიზნესი მინიმუმ 6 თვე

საჭირო დოკუმენტაცია: მომხმარებლის ფინანსური უწყისები და სხვა შესაბამისი დოკუმენტები.

[29] ფინანსური ლიზინგი. https://leasing.ge/products#legal
გადამოწმებულია 16.06.2020

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნები	*2019*	*2018*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	21,280,992	3,541,548
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	5	–	2,793,791
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	6	130,359,456	88,081,479
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	7	21,468,123	11,114,733
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	8	13,820,350	6,111,981
ძირითადი საშუალებები	10	1,251,015	749,676
საინვესტიციო ქონება	23	–	2,754,221
სხვა აქტივები	11	1,368,869	1,550,813
სულ აქტივები		**189,548,805**	**116,698,242**
ვალდებულებები			
სასესხო კრედიტორული დავალიანება	12	86,170,329	55,291,502
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	72,538,704	36,940,653
საიჯარო ვალდებულება		736,253	–
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		3,556,288	2,605,947
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	9	–	53,856
გადასახადი კრედიტორული დავალიანება	9	–	63,293
სხვა ვალდებულებები		2,050,026	1,097,926
სულ ვალდებულებები		**165,051,600**	**96,053,177**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,180,000	3,180,000
დამატებით შეტანილი კაპიტალი		15,188,227	15,030,247
აკუმულირებული ზარალი		6,581,153	2,713,739
სხვა რეზერვი		(452,175)	(278,921)
სულ კაპიტალი	15	**24,497,205**	**20,645,065**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**189,548,805**	**116,698,242**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ივნისს:

2019 წელს, პირველად, საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის დაჯილდოება შედგა, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდაჭერის ეროვნული ფონდის მიერ განხორციელდა. „საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს" 3 მფლობელი, 16

ნომინანტიდან 3 კატეგორიაში, სპეციალურმა ჟიურიმ შეარჩია. საქართველოს სალიზინგო კომპანია საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს მფლობელია.

ალიანს ჯგუფი ლიზინგი (AGL) პირველი დამოუკიდებელი, არასაბანკო სალიზინგო კომპანიაა საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს ფინანსურ, საოპერაციო და უკუ–ლიზინგის მომსახურებას სთავაზობს. „2006 წელს დაარსების შემდეგ, ის უკვე მოემსახურა **4,000**–ზე მეტ კლიენტს და დააფინანსა 40 მლნ. ა.შ.შ დოლარის მოცულობის ტრანზაქცია. კომპანიის სალიზინგო მომსახურება თბილისის გარდა, ზუგდიდის რეგიონისთვისაცაა ხელმისაწვდომი . „ალიანს ჯგუფი ლიზინგი" საქართველოში მოღვაწე პირველი სალიზინგო კომპანიაა, რომელმაც 2011 წელს მოიპოვა ხარისხის მართვის საერთაშორისო სერთიფიკატი **ISO 9001**. ამასთან, „ალიანს ჯგუფი ლიზინგი" პირველი კომპანიაა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 2011 წელს „პორტატული გარანტია" მიანიჭა. "ალიანს ჯგუფი ლიზინგის" სპეციალური შემოთავაზება ღვინის მწარმოებლებისთვის, მცირე და საოჯახო მარნებისა და ტურისტული ობიექტებისთვის. 2015 წელს 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, რუსთაველის გამზირზე მოსულ სტუმრებს გარემოს დაცვის სამინისტრომ "მწვანე ქალაქში" უმასპინძლა."[30] ქალაქის ერთ კუთხეში, „ალიანს ჯგუფი ლიზინგის" ელექტრო ვლოსიპედები იყო წარმოდგენილი და დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ადგილზე გაცნობოდნენ ველოსიპედების ტექნიკურ მახასიათებლებს. ველოსიპედებმა დამთვალიერებლების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. პირველად საქართველოში, „ალიანს ჯგუფი ლიზინგი" გთავაზობთ გადაადგილების უნიკალურ, თანამედროვე და მარტივ

[30] კორპორატიული ფინანსური ლიზინგი. http://www.agl.ge
გადამოწმებულია 18.06.2020

საშუალებას – ელექტრო ველოსიპედებს. გაყიდვაშია სამი ტიპის მრავალ-ფუნქციური ელექტრო ველოსიპედი: ტურისტული იგივე მთის ველოსიპედი, ქალაქის და სატვირთო. ელექტრო ველოსიპედის მართვა და მოვლა საკმაოდ მარტივია. მისი დამუხტვა საყოფაცხოვრებო დენის წყაროდანაა შესაძლებელი. ელექტრო ველოსიპედით გადაადგილება შესაძლებელია როგორც მაღალმთიან რეგიონებში, ასევე დაბლობზე და ქალაქში. ელექტრო ველოსიპედი იდეალურია მათთვის, ვინც მისდევს ჯანსაღი ცხოვრების წესს, დამსვენებლებისთვის, რომლებსაც სურთ ქალაქში ან მთაში გასეირნება და რეგიონებში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესების და სასტუმროების თანამშრომლებისთვის, რომლებსაც უწევთ სოფლიდან ქალაქში (ან პირიქით) გადაადგილება და მცირე ტვირთის გადატანა. დაინტერესებული პირებისთვის შესაძლებელია ველოსიპედების შეღავათიანი, სალიზინიგო მომსახურებით შეძენა.

„2017 წლის 17 ოქტომბერს ალიანს ჯგუფი ლიზინგი მონაწილეობდა BIA-ს მიერ ორგანიზებულ ფორუმში Lease Finance Forum 2017. "ტექნიკის მომწოდებელთა გამოფენა და ლიზინგის ფინანსური ფორუმი" განკუთვნილია ყველა ტიპის ბიზნესისთვის, რომელთა წარმატებაც ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და თანამედროვე ინდუსტრიულ მოწყობილობებზეა დამოკიდებული. ფორუმი მიზნად ისახავდა ერთის მხრივ, რეგიონით დაინტერესებული ლიდერი ტექნიკის მომწოდებლების, ხოლო მეორეს მხრივ, ყველა იმ ბიზნესის შეკრებას, რომლებიც დაინტერესებულები არიან თანამედროვე ტექნიკის განახლებით ან შეძენით. ფორუმმა ხელი შეუწყო კავშირის განვითარებას რეგიონის 16 ქვეყნიდან წარმოდგენილ ბიზნესებს, ასევე მომწოდებლებს შორის მსოფლიოს მასშტაბით. ერთდღიანმა გამოფენა - ფორუმმა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშესაწყობად, მსოფლიოს წამყვანი მწარმოებელი ბრენდების 350-ზე მეტი აღმასრულებელი დირექტორი, თანამდროვე ტექნიკის შეძენით დაინტერესებულმი ბიზნესი, სავაჭრო პალატა, საერთაშორისო ორგანიზაცია და კორპორაცია გააერთიანა. ტექნიკის მომწოდებელთა გამოფენა ფორუმის პარალელურად

გაიმართა და შესანიძნავი შესაძლებლობა მისცა კომპანიებს მათი პროდუქტები და/ან მომსახურება დამსწრეებისთვის წარედგინათ.“[31]

[31]http://www.agl.ge/ge/news/35-ალიანს-ჯგუფი-ლიზინგი-ფორუმზე-Lease-Finance-Forum-2017 გადამოწმებულია 11.08.2020

დასკვნა

- ლიზინგი ამცირებს კრედიტზე მოთხოვნას, ე.ი. ხელს უწყობს კრედიტის გაიაფებას. ამიტომ არც თუ იშვიათად, სალიზინგო ფირმები აღმოცენდებიან როგორც ბანკის ფილიალები;
- მეტი მუშაობაა საჭირო ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რათა ისინი გაერკვნენ ლიზინგის უპირატესობაში, მის ეკონომიკურ სარგებლობაში;
- რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, არცერთი სალიზინგო ფირმა არ არსებობს. მართალია, ეს რეგიონი ნაკლებ განვითარებულია და მისი წილი საქართველოს სამრეწველო პროდუქციაში მხოლოდ 0.3%-ია, მაგრამ ამ რეგიონის რესურსული პოტენციალი იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობას;
- ვფიქრობთ, რომ საერთოდ ბაზარს, მათ შორის ლიზინგის ბაზარს ფორმირების საწყის ეტაპზე, რომელზეც ამჟამად საქართველო იმყოფება, აქტიური სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, სახლემწიფოს ჩარევა სჭირდება, სხვაგვარად იგი ვერ განვითარდება;
- ჩვენნაირ ქვეყანაში, ბიზნესი, მით უფრო მცირე და საშუალო ბიზნესი, ვერ განვითარდება ლიზინგის განვითარების გარეშე, ბიზნესის განვითარების გარეშე კი ვერ განვითარდება თვითონ ქვეყანა. ეს არის პირველ რიგში გასაცნობიერებელი და გასათვალისწინებელი;
- საქართველო 30 წლით ჩამორჩება საერთო ევროპულ დონეს. ამასთან, რაც გვაქვს, ისიც საშუალოდ 70-72%-ით გაცვეთილია. ასეთ პირობებში, როგორ შეიძლება ქვეყანას არ აღელვებდეს საკუთარი წარმოების ტექნიკური მდგომარეობა და არ ფიქრობდეს მის განახლებაზე, ისეთ იაფი გზით, როგორც ლიზინგია;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტექნიკის გაქირავება და ლიზინგი. გუდავაძე თეო. გაზეთი „რეზონანსი“. #59. 28 მარტი. გვ.8. 2019
2. ლიზინგი-საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება. ბარბქაძე ხათუნა. ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. #1. გვ. 175-184. 2018
3. ლიზინგი გრძელვადიან კაპიტალდაბანდებათა ეკონომიის გზა ხის დამამუშავებელ მრეწველობაში.. ხუსკივაძე მადონა. ჟურნალი-გონი. ქუთაისი. #6. გვ. 25-30. 2018.
4. თიბისი ლიზინგი მომხმარებელს გრძელვადიან იჯარას სთავაზობს. გაზეთი „რეზონანსი“ (ჩანართი). 24 ოქტომბერი #36 გვ.7. 2017
5. საერთაშორისო სალიზინგო მომსახურების და ქართული სალიზინგო ბაზრის შედარებითი ანალიზი. პიტიურაშვილი დავით. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3 გვ. 106-109. 2016.
6. ფინანსური იჯარა (ლიზინგი). ქეთევან ორმოცაძე. ბუღალტრული აღრიცხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. მარტი. N3. გვ.37-42. თბილისი, 2014.
7. ლიზინგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაძენად მეტად ხელსაყრელი სერვისია. გვანცა გვიჩია. შოთა მაჭარაშვილი. ახალი აგრარული საქართველო : სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი. მარტი. N3(35).გვ.15-17. - თბილისი, 2014.
8. იჯარა-ლიზინგის კლასიფიკაცია და რეგისტრაცია. ნარიმან ტერაშვილი. გადასახადები და აღრიცხვა : მეთოდურ-პრაქტიკული ჟურნალი. თებერვალი. N4. გვ.9-11. თბილისი, 2014.
9. სალიზინგო ურთიერთობათა არსი, მისი განვითარების ისტორიული მიმოხილვა, თავისებურებანი და თანამედროვე დეფინიცია. სოფიკო მეშველიშვილი. მართლმსაჯულება და კანონი. Justice and Law-იურიდიული ჟურნალი. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია; საქართველოს უზენაესი სასამართლო. - N4(39). - გვ.81-93.თბილისი, 2013.
10. ლიზინგის იურიდიული ბუნება. კარლო ბზიშვილი. მეცნიერება და ცხოვრება.საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი / თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. N1(7), გლობალიზაცია და

მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები). - გვ.352-357. - თბილისი, 2013.

11. საერთაშორისო ლიზინგის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ბერიშვილი ხათუნა. გვ. 131. თბილისი. 2012.
12. რატომ ვერ ვითარდება საქართველოში ლიზინგი? თათია ხალიანი. ლიბერალი. 17-23 სექტემბერი. N107. გვ.34-36. თბილისი, 2012.

ინტერნეტრესურსები:

1. http://www.tbcleasing.ge/
2. http://leasing.ge/ge/
3. http://www.agl.ge/